

ხელბურთის წესები



რესურსი: IHF Rules of the Game

გამოცემა: 1 ივლისი 2022

სარჩევი

1. სათამაშო მოედანი	3
2. სათამაშო დრო, საფინანსო სირენა და ტაიმ-აუტი	8
3. ბურთი	11
4. გუნდი, შეცვლები, სამოსი, მოთამაშეთა ტრამპები	12
5. მეკარე	16
6. მეკარის ზონა	17
7. ბურთთან შეხება, პასიური თამაში	18
8. დარღვევები და უწყობა	20
9. გოლი	27
10. ცენტრიდან ტყორცნა	28
11. გვერდითი ტყორცნა	29
12. მეკარის ტყორცნა	30
13. თავისუფალი ტყორცნა	30
14. 7-მეტრიანი ტყორცნა	33
15. ზოგადი დებულებები ტყორცნების შესასრულებლად (ცენტრიდან ტყორცნა, გვერდითი ტყორცნა, მეკარის ტყორცნა, თავისუფალი ტყორცნა, 7 მეტრიანი ტყორცნა).....	34
16. სასჯელი.....	37
17. მსაჯები	41
18. ტაიმკიპერი და მდივანი	42
ქესტები.....	43
II. წესების განმარტებანი.....	47
III. შეცვლის ზონის რეგულაციები	57
IV. მითითებები და ჩარევები.....	59
დანართები:.....	69
დანართი 1.....	70
დანართი 2.....	75
დანართი 3.....	77
V. წესები და პრინციპები სათამაშო მოედნებისა და კარებების შესახებ.....	79

1. სათამაშო მოედანი

1. მოედანი ფორმით მართკუთხაა (იხ. ნახაზი 1)

მისი სიგრძე 40 მეტრია, ხოლო სიგანე 20 მეტრი. მოედანი იყოფა ორ (კარის) ზონად (იხ. ნახაზი 1.4 და 6) და სათამაშო არედ. მოედნის გრძელ გვერდებს გვერდითი ხაზები ჰქვიათ, მოკლე გვერდებს კი -- კარის ხაზები (ძელებს შორის) და პირითი ხაზები (ძელიდან გვერდით ხაზამდე). მოედანს უნდა საზღვრავდეს უსაფრთხოების ზოლი, რომლის სიგანეა არა-ნაკლებ 1 მეტრი გვერდითი ხაზის გასწვრივ და 2 მეტრი კარის ხაზის უკან. თამაშის დროს აკრძალულია მოედნის ზომათა ისე შეცვლა, რომ ამით რომელიმე გუნდმა იხეიროს.

2. კარი უნდა იდგეს ორივე მოკლე გვერდის შუაწელში (ნახაზები 2a და 2b). კარი მკვიდრად უნდა ემაგრებოდეს იატაკს ან უკანა კედელს. კარის (შიდა) სიმაღლეა 2 მეტრი, და (შიდა) სიგანე -- 3 მეტრი. კარის ძელები ერთდება ჰორიზონტალური ხარიხით. ძელის უკანა კიდე კარის ხაზის უკანა კიდეზე სწორდება. ძელებისა და ხარიხის კვეთა კვადრატულია - ზომით 8 სანტიმეტრი. მათი ის სამი მხარე, რომლებიც მოედნიდან ჩანს, უნდა შეიღებოს ორი, კონტრასტული ფერის ზოლებად; ამათი ფერი (გარემოს) ფონისგანაც მკვეთრად უნდა განირჩეოდეს. კარს უნდა ეკეთოს ბაღე, რომელიც კარს ისე უნდა მიემაგროს, რომ კარში შეგდებული ბურთი, როგორც წესი, შიგნითვე დარჩეს.

3. მოედანზე გავლებული ყოველი ხაზი ეკუთვნის იმ არეს, რომელსაც თავად შემოსაზღვრავს. ძელებს შორის კარის ხაზის სიგანე 8 სანტიმეტრია (იხ. ნახაზი 2a). ყველა სხვა ხაზი კი - 5 სანტიმეტრი. მეზობელ არეთა გამყოფი ხაზი შეიძლება არცკი გაივლოს, თუ ეს არეები განსხვავებულ ფრად შეიღებება.

4. კარის წინ გამოიყოფა (კარის) ზონა (იხ. ნახაზი 1). ზონის საზღვარი (6-მეტრა რკალი) იხაზება ასე:

a) კარის წინ | პირდაპირ ივლება 3 მეტრი სიგრძის ხაზი, რომელიც კარის ხაზის პარალელურია და მისგან 6 მეტრითაა დაშორებული - ეს მანძილი იზომება "კარის ხაზის" უკანა კიდიდან "ზონის საზღვრის" წინა კიდემდე;

ბ) ივლება ორი "მეოთხედი წრე"; მათი რადიუსია 6 მეტრი -- იზომება კარის ძეღის უკანა შიდა კუთხიდან; ეს რკალები წინა მუხლში გავლებულ 3-მეტრიან ხაზს პირით ხაზებთან აკავშირებს (იხ. ნახაზები 1 და 2a);

5. "თავისუფალი ტყორცნის" ხაზი (9-მეტრა რკალი) წყვეტილია; იგი ზონის საზღვრის პარალელურად, მისგან 3 მეტრზე, სათამაშო არეში ივლება. ამ წყვეტილის შტრიხებისა და შუალედების სიგრძე 15 სანტიმეტრია (იხ. ნახაზი 1).

6. 7-მეტრა ხაზის სიგრძე 1 მეტრია. იგი კარის წინ, პირდაპირ, კარის ხაზის პარალელურად, მისგან 7 მეტრზე ივლება - იზომება "კარის ხაზის" უკანა კიდიდან "7-მეტრიანი ხაზის" წინა კიდემდე (იხ. ნახაზი 1).

7. მეკარის შემზღუდავი ხაზის, 4-მეტრა შტრიხის სიგრძე 15 სანტიმეტრია. ისიც კარის წინ, პირდაპირ, კარის ხაზის პარალელურად, მისგან 4 მეტრზე ივლება - იზომება "კარის ხაზის" უკანა კიდიდან "4-მეტრიანი შტრიხის" წინა კიდემდე (იხ. ნახაზი 1).

8. ცენტრის ხაზი გვერდითი ხაზების შუა წერტილებს აერთებს (იხ. ნახაზები 1 და 3).

9. 4 მეტრიანი დიამეტრის წრე, რომელსაც ეწოდება ცენტრიდან გათამაშების ადგილი, მოთავსებულია შუაში, ცენტრალური ხაზი (იხ. ნახაზი 1 და წესი 10:3b).

გათამაშების ადგილი შეიძლება იყოს:


a. მოედანსა და სათამაშო მოედანს შორის განსხვავებული ფერის მონაკვეთი (დიამეტრი 4მ).

ბ. წრის ხაზი.


შენიშვნა: ცენტრის ადგილი სავალდებულოა IHF-ის ღონისძიებებისთვის და უმაღლესი პროფესიული ხელბურთის ლიგებისთვის და არასავალდებულოა კონტინენტური კონფედერაციებისა და ეროვნული ფედერაციების მიერ ორგანიზებული სხვა ღონისძიებებისთვის.

10. შეცვლის ხაზები გვერდითი ხაზის 4.5-მეტრა მონაკვეთებია ცენტრის ხაზიდან ორივე მხარეს; მათი იქეთა ბოლოები გამოიყოფა ცენტრის ხაზის პარალელური შტრიხებით, რომლებიც გვერდითი ხაზიდან 15 სანტიმეტრზე შედის მოედანში და ამავე ხაზიდან 15 სანტიმეტრზე გამოდის გარეთ (იხ. ნახაზები 1 და 3).


ზომა მოცემულია სანტიმეტრებით




ნახაზი 2a. კარი



ნახაზი 2b. კარის გვერდითი ხედი



ნახაზი 3. შეცვლის შტრიხები და ზოლები



ტაიმკიპერისა და მდივნის მაგიდა და სათადარიგოთა სკამები ისე უნდა დაიდგას, რომ ტაიმკიპერი და მდივანი შეცვლის შტრიხებს ხედავდნენ. მაგიდა სათადარიგოთა სკამებზე წინ უნდა იყოს, ოღონდ გვერდითი ხაზიდან არა-ნაკლებ 50 სანტიმეტრზე.

2. სათამაშო დრო, საფინანსო სირენა და ტაიმ-აუტი

სათამაშო დრო

1. 16 წლის გუნდების და უფროსთა სათამაშო დროა 2 X 30 წუთი. ტაიმებს შორის შესვენება კი 10 წუთს შეადგენს.

12-16 წლის გუნდების სათამაშო დრო - 2 X 25 წუთი, ხოლო 8-12 წლის გუნდებისა -- 2 X 20 წუთი. ორივე მათგანისას შესვენების ხანგრძლივობა 10 წუთს შეადგენს.

შენიშვნა: IHF-ს, კონტინენტურ კონფედერაციებს და ეროვნულ ფედერაციებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი რეგულაციები პასუხისმგებლობის სფეროებში, ტაიმის შემდგომ შესვენებასთან დაკავშირებით. მაქსიმალური შესვენება ტაიმის შემდგომ 15 წუთია.

2. თუ თამაში ფრედ დასრულდა და გამარჯვებული გამოსავლენია, 5-წუთიანი შესვენების შემდეგ ინიშნება ოვერ-ტაიმი (დამატებითი დრო) -- 2 X 5 წუთი, ტაიმებს შორის 1-წუთიანი შესვენებით

თუ პირველი ოვერ-ტაიმის შემდეგაც ფრეა, 5-წუთიანი შესვენების შემდეგ ინიშნება მეორე ოვერ-ტაიმი -- ესეც 2 X 5 წუთი, ტაიმებს შორის 1-წუთიანი შესვენებით

თუ მეორე ოვერ-ტაიმის შემდეგაც ფრეა, გამარჯვებული შეჯიბრების დებულების თანახმად გამოვლინდება, თუ დებულებაში თაი-ბრეიქად "7-მეტრიანები" წერია გამარჯვებულის გამოსავლენად, მათი სერია ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად უნდა ჩატარდეს.

შენიშვნა: თუ გამარჯვებულის გამოსავლენად ინიშნება 7-მეტრიანი, მონაწილეობის უფლება აქვთ მოთამაშეებს, რომლებიც არ არიან გაძევებული ან დისკვალიფიცირებული თამაშის დროის ბოლოს (იხილეთ ასევე წესი 4:1, მე-4 პუნქტი). თითოეული გუნდი წარადგენს 5 მოთამაშეს. ეს მოთამაშეები განახორციელებენ თითო სროლას, მონაცვლეობით მეორე გუნდის მოთამაშეებთან ერთად. გუნდებს არ მოეთხოვებათ წინასწარ განსაზღვრონ მსროლელთა თანმიმდევრობა. გუნდებისაგან მეკარის არჩევა და შეცვლა შეუზღუდავია. მოთამაშეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ 7 მეტრიან ტყორცნაში, ეს ეხება როგორც მოედნის მოთამაშეს, ასევე მეკარეს.

მსაჯები აირჩევენ იმ კარს, რომელშიც გუნდები რიგრიგობით ტყორცნიან. მსაჯები გუნდებს წილს უყრიან მონეტის აგდებით. წილის-ყრის გამარჯვებული გუნდი აირჩევს, ჯერ თავად ტყორცნოს და მეტოქეს ატყორცნინოს. თუ (მორიგი) 5 ტყორცნის შემდეგ ფრეა, სერია გრძელდება საპირისპირო, შექცეული რიგით.

ყოველი გაგრძელებისთვის გუნდმა ისევ უნდა დაასახელოს 5 მოთამაშე. აქ ნება-დართულია წინა ხუთეულის "რამდენიც გინდა იმდენი" მოთამაშის შეყვანა დამრტყმელებს შორის. სერია შეწყდება და გამარჯვებულიც გამოვლინდება, როგორც კი ტოლი რაოდენობის ტყორცნათა შემდეგ ფრე დაირღვევა.

7-მეტრიანების შესრულებისას მოთამაშეს სერიაში შემდგომი მონაწილეობა შეიძლება აეკრძალოს, თუ უწესოდ სერიოზულად ან მრავალ-ჯერ მოიქცა (იხ. წესი 16.6). თუ ეს მოთამაშე მტყორცნელთა მომდევნო ხუთეულშია, გუნდმა მის ნაცვლად სხვა უნდა დაასახელოს.

საფინანსო სირენა

3. სათამაშო დროის ათვლა იწყება, როცა მსაჯი სულ პირველი "ცენტრიდან ტყორცნის" ნიშნად დაუსტვენს. ტაიმი მთავრდება ავტომატური სირენით, რომელსაც გამოსცემს ტაბლოს საათი ან ტაიმკიპერი. თუ სირენა არ ან ვერ ჩაირთო, მსაჯმა ტაიმის დამთავრება დასტვენით უნდა აღნიშნოს (17.9).

შენიშვნა: თუ დარბაზში არაა სირენიანი ტაბლოს საათი, ტაიმკიპერმა უნდა გამოიყენოს მაგიდის საათი ან წამ-მზომი და ტაიმი სირენით დაასრულოს (18.2, მეორე პარაგრაფი).

4. მსაჯებმა სასჯელი მაშინაც უნდა დააკისრონ დამრღვევს ან უწესოდ მოთამაშეს, როცა დარღვევა (ნებისმიერი ტაიმის დამთავრების მაუწყებელ) სირენას ემთხვევა, ან როცა დასანიშნი თავისუფალი (13.1) ან 7-მეტრიანი სირენის შემდეგდა შეიძლება შესრულდეს

ტყორცნა ხელ-ახლა, თავიდან უნდა შესრულდეს, თუ სირენა თავისუფალის ან 7-მეტრიანის ტყორცნისას გაისმა, ან ნატყორცნი ბურთი უკვე ჰაერშია.

ორივე შემთხვევაში მსაჯებმა ტაიმი უნდა დაამთავრონ მხოლოდ მას შემდეგ, როცა თავისუფალი ან 7-მეტრიანი (ხელ-ახლა) შესრულდება და მათი შედეგიც დადგინდება

5. წინა (2.4) წესით შესასრულებელი თავისუფალი ტყორცნის დროს მოთამაშეთა განლაგება და შეცვლაც იზღუდება. 4.4 წესიდან გამონაკლისად, ნება-დართულია ერთად-ერთი მოთამაშის შეცვლა და ისიც მარტო მტყორცნელ გუნდში. დამცველ გუნდსაც შეუძლია ერთი მოთამაშის ჩანაცვლება მეკარით, თუ თამაშის დასრულებისას გუნდს მეკარე არ ჰყავდა. ამ შეზღუდვის დარღვევა ისჯება 4.5, 1 პარაგრაფი წესით. მეტიც, მტყორცნელის ყველა გუნდელი მისგან მინიმუმ 3 მეტრზე და თანაც 9-მეტრა რკალის გარეთ უნდა დადგეს (13.7, 15.6 და განმარტება 1). დამცველთა განლაგება მოცემულია 13.8 წესში.

6. წინა (2.4-5) წესებით შესასრულებელი თავისუფალისა და 7-მეტრიანის დროს ჩადენილი დარღვევისა და უწესობისთვის მოთამაშესა და წარმომადგენელს სასჯელი ჩვეულებრივად ეკისრებათ. მიუხედავად ამისა, ასეთი დარღვევის გამო მეტოქეს ვერა-ნაირად ვეღარ ერგება თავისუფალი ტყორცნა.

7. თუ მსაჯებმა დაადგინეს, რომ ტაიმკიპერმა სირენა ადრე ჩართო - მოთამაშეები მოედანზე უნდა დატოვონ და ტაიმი ბოლომდე ათამაშონ. თამაშის გასაგრძელებლად ბურთი მიეცემა იმ გუნდს, რომელიც მას ნაადრევი სირენის დროს ფლობდა. თუ ამ დროს ბურთი თამაშ-გარე იყო - თამაში განახლდება იმ ტყორცნით, რომელიც ისედაც უნდა შესრულებულიყო. თუ ბურთი თამაშში იყო - თამაში

განახლება თავისუფალი ტყორცნით (13.4a-b-ბ). თუ პირველი ტაიმი (ოვერ-ტაიმისაც) დადგენილზე მეტ ხანს გაგრძელდა - მეორე ტაიმი სათანადოდ უნდა დამოკლდეს, მაგრამ თუ დადგენილზე მეტ ხანს გაგრძელდა მეორე ტაიმი (ოვერ-ტაიმისაც) - მსაჯები ველარაფერს შეცვლიან.

ტაიმ-აუტი

8. მსაჯები წყვეტენ ტაიმ-აუტის დაწყებას და ხანგრძლივობას. ტაიმ-აუტი (საათის გაჩერება) სავალდებულოა:

- a) 2-წუთიანი ან წითლით გაგდებისას;
- b) გუნდური ტაიმ-აუტის მიცემისას;
- c) თუ დაუსტვინა ტაიმკიპერმა ან დელეგატმა;
- d) მსაჯებმა უნდა ითათბირონ (17.7);

და საგანგებო ვითარებაშიც (განმარტება 2).

ტაიმ-აუტის დროს ჩადენილი დარღვევა თამაშის დროს ჩადენილივით ისჯება (16.10).

9. როგორც წესი, საათის გაჩერება - ჩართვას მსაჯები წყვეტენ. ტაიმკიპერისათვის საათის გაჩერების სანიშნებლად მსაჯმა სამჯერ, მოკლედ უნდა დაუსტვინოს და გამოიყენოს "მე-15 ჟესტი". გარდა ამისა, სავალდებულო ტაიმ-აუტზე - როცა თამაში ტაიმკიპერის ან დელეგატის სასტვენზე ჩერდება (2.8b-c) ტაიმკიპერი არ უნდა დაელოდოს მსაჯთა დასტურს და საათი უმაღლ გააჩეროს. ტაიმ-აუტის შემდეგ თამაშის გასაახლებლად დასტვენა აუცილებელია (15.5b).

შენიშვნა: ტაიმკიპერის ან დელეგატის სასტვენზე თამაში გაჩერებულად ითვლება. გინდაც მსაჯები ან მოთამაშეები მომხდარს უმაღლ ვერ მიხვდნენ, "სასტვენის შემდეგ ნათამაშევი" უქმდება. არ ითვლება მაგიდიდან დასტვენის შემდეგ გატანილი გოლი. ასევე, დანიშნული ტყორცნებიც (7-მეტრიანი, თავისუფალი, გვერდიდან შემოტანა, ცენტრიდან ტყორცნა, კარიდან შემოტანა) უქმდება, თამაში კი ახლდება ისე, როგორც მაგიდიდან დასტვენის დროს უნდა გაგრძელდებოდა. მაგიდიდან დასტვენის ძირითადი მიზეზებია გუნდური ტაიმ-აუტი ან უსწორო შეცვლა.

პირადი სასჯელი, დაკისრებული დროის მსაჯის ან დელეგატის სასტვენიდან მსაჯთა მიერ თამაშის გაჩერებამდე, ძალაში რჩება - მნიშვნელობა არა აქვს დარღვევის არსსა და სასჯელის სიმკაცრეს.

10. თითოეულ გუნდს აქვს უფლება მიიღოს თითო 1 წუთიანი გუნდური ტაიმ-აუტი რეგულარული სათამაშო დროის თითოეულ ტაიმში, მაგრამ არა ოვერტაიმში (განმარტება 3).

შენიშვნა: IHF-ს, კონტინენტურ კონფედერაციებს და ეროვნულ ფედერაციებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი წესები პასუხისმგებლობის სფეროებში გუნდური ტაიმ-აუტების რაოდენობასთან დაკავშირებით, სადაც ნათქვამია, რომ თითოეულ გუნდს აქვს უფლება მიიღოს სამი 1 წუთიანი გუნდური ტაიმ-აუტი თითო მატჩში

(ოვერტაიმის გარდა). აგრამ შეიძლება მიენიჭოს მაქსიმუმ ორი გუნდური ტაიმ-აუტი რეგულარული სათამაშო დროის თითოეულ ნახევარში. (განმარტება 3).

3. ბურთი

1. ბურთი ტყავის ან სინთეტიკისაა. ბურთი მრგვალია. მისი ზედაპირი არ უნდა ბზინავდეს. ბურთი ხელიდან არ უნდა სხლტებოდეს (17.3).

2. ბურთის პარამეტრები კატეგორიათა მიხედვით:

a) სათამაშო ბურთი წებოთი

ბურთის შემდეგი ზომები (მაგ. გარშემოწერილობა და წონა) გამოყენებული უნდა იყოს სხვადასხვა ასაკისთვის კატეგორიებისათვის:

- 58-დან 60 სმ-მდე გარშემოწერილობა და 425-დან 475 გრამამდე წონაში (IHF ზომა 3) ახალგაზრდა ან უფროსი ასაკის მამაკაცებისთვის (16 წლის და უფროსი ასაკის);

- 54-დან 56 სმ-მდე გარშემოწერილობა და 325-დან 375 გ-მდე წონაში (IHF ზომა 2) ახალგაზრდა და უფროსი ასაკის ქალებისთვის, (14 წლის და უფროსი ასაკის) და ახალგაზრდა მამაკაცები (12-დან 16 წლამდე);

- 50-დან 52 სმ-მდე გარშემოწერილობა და 290-დან 330 გ-მდე წონაში (IHF ზომა 1) ახალგაზრდებისთვის (8-დან 14 წლამდე) ქალები და (8-დან 12 წლამდე) მამაკაცები.

b) სათამაშო ბურთი წებოს გარეშე

ბურთის შემდეგი ზომები (მაგ. გარშემოწერილობა და წონა) გამოყენებული იქნება სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიისთვის:

- 55,5-დან 57,5 სმ-მდე გარშემოწერილობა და 400-დან 425 გ-მდე წონაში (IHF ზომა 3) ახალგაზრდა და უფროსი ასაკის მამაკაცებისათვის (16 წლის და უფროსი ასაკის);

- 51,5-დან 53,5 სმ-მდე გარშემოწერილობა და 300-დან 325 გ-მდე წონაში (IHF ზომა 2) ქალთა უფროსი, ქალთა ახალგაზრდა (14 წლის და უფროსი ასაკის) და მამაკაცთა ახალგაზრდა (12-დან 16 წლამდე) მოთამაშეებისთვის;

- 49-დან 51 სმ-მდე გარშემოწერილობა და 290-დან 315 გ-მდე წონაში (IHF ზომა 1) ქალთა ახალგაზრდული (8-დან 14 წლამდე) და მამაკაცებთა ახალგაზრდული (8-დან 12 წლამდე) მოთამაშეებისთვის.

შენიშვნა: ტექნიკური მოთხოვნები ბურთების მიმართ, რომლებიც გამოიყენება ყველა ოფიციალურ საერთაშორისო თამაშში, აღწერილია "IHF ბურთის რეგულაციებში".

"მინი-ხელბურთის" ბურთების ზომა და წონა არ რეგულირდება თამაშის ნორმალურ წესებში.

3. თამაშისთვის უნდა გამოიყოს მინიმუმ ორი ბურთი. სათადარიგო ბურთები ტაიმკიპერის მაგიდასთან უნდა ელაგოს. ისინი 3.1-2 წესთა პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ

4. სათადარიგო ბურთის გამოყენებას მსაჯები წყვეტენ. ამ დროს მათ უნდა იმოქმედონ სწრაფად და არ დაუშვან თამაშის შეფერხება.

4. გუნდი, შეცვლები, სამოსი, მოთამაშეთა ტრამპები

გუნდი

1. გუნდი შედგება 14 და მეტი მოთამაშისგან.

მათგან მოედანზე ერთდროულად შეიძლება იყოს მაქსიმუმ 7. დანარჩენები კი სათადარიგობად ითვლებიან.

მოთამაშეს, რომელიც წარმოდგენილია, როგორც მეკარე, ნებისმიერ დროს შეუძლია გახდეს "მოედნის მოთამაშე" (თუმცა იხილეთ, 8.5 შენიშვნა, 2-ე პარაგრაფი). ასევე, "მოედნის მოთამაშესაც" ნებისმიერ დროს შეუძლია გახდეს მეკარე (თუმცა იხილეთ, 4.4 და 4.7).

თუ გუნდი თამაშობს მეკარის გარეშე, მაქსიმალური მოთამაშეთა რაოდენობა მოედანზე უნდა შეადგენდეს 8 მოთამაშეს (იხ. 4:7, 6:1, 6:2c, 6:3, 8:7f, 14:1a).

წესები 4:4-4:7 ვრცელდება მეკარის მოედნის მოთამაშით შეცვლისას.

თამაშის დასაწყებად გუნდმა მოედანზე უნდა გაიყვანოს მინიმუმ 5 მოთამაშე

თამაშის განმავლობაში, ნებისმიერ დროს (თვით ოვერ-ტაიმშიც) ნებადართულია მოთამაშეთა რაოდენობის გაზრდა 14 დან ზევით.

თამაშის გაგრძელება ნებადართულია მაშინაც, თუ გუნდს მოედანზე 5 მოთამაშეზე ნაკლები დარჩა. თუ როდის შეწყვიტონ თამაში, მაგას მსაჯები ადგენენ (17.12).

შენიშვნა: IHF-ს, კონტინენტურ კონფედერაციებს და ეროვნულ ფედერაციებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი რეგულაციები პასუხისმგებლობის სფეროებში მოთამაშეთა რაოდენობასთან დაკავშირებით. თუმცა, 16 მოთამაშეზე მეტი არ არის დაშვებული.

2. გუნდს თამაშზე შეიძლება ახლდეს მაქსიმუმ 4 წარმომადგენელი. თამაშის განმავლობაში ამათი შეცვლა არ შეიძლება. ოთხიდან ერთი წარმომადგენელი ინიშნება "გუნდის უფროსად". ტაიმკიპერთან, მდივანთან და მსაჯებთან კონტაქტი მხოლოდ ამ უფროსს შეუძლია (ამის მიუხედავად იხილეთ, განმარტება 3).

გუნდის წარმომადგენელი, როგორც წესი, თამაშის დროს მოედანში არ უნდა შევიდეს. ამ წესის დარღვევა "უწესობად" მიიჩნევა (8.7-10, 16.1b, 16.3e-g და 16.6c). თამაშს კი მეტოქე განაახლებს თავისუფალი ტყორცნით (13.1a-b, თუმცა იხილეთ განმარტება 7).

ოქმში შეტანილ მოთამაშეთა და წარმომადგენელთა (მაქსიმუმ 4) გარდა, უფროსმა თამაშის განმავლობაში სხვა არავინ უნდა დაუშვას "ცვლილებათა ზონაში" (4.3). ის აგრეთვე პასუხისმგებელია ცვლილებათა ზონის ფარგლების სწორად გამოყენებაზე. წესის დარღვევისთვის უფროსს დაეკისრება მზარდი სასჯელი (16.1b, 16.3e, 16.6c).

შენიშვნა: IHF-ს, კონტინენტურ კონფედერაციებს და ეროვნულ ფედერაციებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი რეგულაციები პასუხისმგებლობის სფეროებში გუნდის პირების რაოდენობასთან დაკავშირებით. თუმცა, უნდა მონაწილეობდეს არაუმეტეს 5 პირი.

3. თამაშში მონაწილე მოთამაშე ან წარმომადგენელი თამაშის დაწყების დროს ადგილზე უნდა იყოს და ოქმში ჩაიწეროს.

დაგვიანებულმა მოთამაშემ ან წარმომადგენელმა დროის მსაჯის ან მდივნისგან უნდა მიიღოს ნებართვა, და ოქმში ჩაეწეროს.

ოქმში ჩაწერილი მოთამაშე მოედანზე ყოველთვის თავისი გუნდის "შეცვლის ხაზიდან" უნდა შევიდეს (თუმცა იხილეთ 4.4 და 4.6).

უფროსმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოედანზე მხოლოდ "ოქმში ჩაწერილები" შევიდნენ. ამ წესის დარღვევა უფროსს უწესობად ჩაეთვლება (13.1a-b, 16.1b, 16.3d, 16.6c; თუმცა იხილეთ, განმარტება 7).

მოთამაშეთა შეცვლა

4. "სათადარიგო მოთამაშეს" მოედანზე შესვლა შეუძლია ტაიმკიპერისა და მდივნის უკითხავად, ნებისმიერ დროსა და მრავალჯერ (თუმცა, იხილეთ 2.5 და 4.11), ოღონდაც შესაცვლელი გუნდელის მოედნიდან გამოსვლის შემდეგ (4.5).

შეცვლის მონაწილე მოთამაშეები ყოველთვის უნდა შევიდნენ და გამოვიდნენ თავისი გუნდის "შეცვლის ხაზიდან" (4.5). ეს მოთხოვნა ეხებათ მეკარეებსაც (4.7 და 14.10).

შეცვლის ეს წესები მოქმედებს ტაიმ-აუტის დროსაც (გამონაკლისი - გუნდური ტაიმ-აუტი).

შენიშვნა: "შეცვლის ხაზის" დანიშნულება მხოლოდ შეცვლათა მოწესრიგებაა. ეს ხაზი დასასჯელად არ გამოუგონიათ - მოთამაშემ შეიძლება უნებურად გადააბიჯოს გვერდით ან პირით ხაზს და ამით ხეირის ნახვა აზრადაც არ ჰქონდეს. მაგალითად: გუნდის სკამიდან, "შეცვლის ხაზის" გარეთ აიღოს წყალი ან პირსახოცი; ანაც გაძევებული, სპორტული ადათის დაცვით, პირდაპირ წავიდეს სკამისკენ 15 სანტიმეტრის გადაცილებით. "შეცვლის ზოლის" ტაქტიკურად ან დაუშვებლად გამოყენებას საგანგებო წესი ეძღვნება - 7.10.

5. უსწორო შეცვლა დამრღვევის 2-წუთიანი გაგდებით ისჯება. თუ ეს წესი, ერთსა და იმავე ეპიზოდში, გუნდის რამდენიმე მოთამაშემ დაარღვია, მაშინ დაისჯება მარტო

პირველი დამრღვევი. თამაშს მეტოქე განაახლებს თავისუფალი ტყორცნით (13.1a-b; თუმცა იხილეთ განმარტება 7).

6. თუ მოედანზე ზედმეტი მოთამაშე შეცვლის გარეშე შევიდა, ან თუ მოთამაშე თამაშში შეცვლის ზოლიდან ჩაერია - დამრღვევი 2 წუთით უნდა გააგდონ. ამის შედეგად გუნდი ერთი მოთამაშით ნაკლები დარჩება 2 წუთით და ის, ზედმეტი მოთამაშეც მოედნიდან გავა.

თუ მოთამაშე 2-წუთიან სასჯელს იხდის და ამ დროს მოედანზე შევა, მას დამატებით უნდა მიეცეს "2 წუთი". ამ, ახალი სასჯელის ათვლა უმაღლეს იწყება, რის გამოც გუნდმა მოედანზე კიდევ ერთი მოთამაშე უნდა მოიკლოს ორი სასჯელის გადაფარვის პერიოდში.

(ამ მუხლში აღწერილ) ორივე შემთხვევაში თამაშს მეტოქე განაახლებს თავისუფალი ტყორცნით (13.1a-b, თუმცა იხილეთ განმარტება 7).

სამოსი

7. გუნდის ყველა "მოედნის მოთამაშეს" ერთნაირი ფორმა უნდა ეცვას. მეტოქე გუნდების ფორმის ფერთა გამა და დიზაინი ცხადად უნდა განირჩეოდეს ერთმანეთისაგან. ყველა მოთამაშეს, ვისაც გუნდი მეკარედ უპირებს დაყენებას, უნდა ეცვას ერთნაირი ფორმა, ოღონდაც ამისი ფერი უნდა განსხვავდებოდეს მეტოქე გუნდის "მოედნის მოთამაშეთა" და მეკარეთა ფორმის ფერებისგან (17.3).

8. მოთამაშეს მაისურზე უნდა ეწეროს ნომერი, რომელიც კარგად გამოჩნდება. ზურგის ნომრის სიმაღლეა არა-ნაკლებ 20 სანტიმეტრი, მკერდისა - არა-ნაკლებ 10 სმ. ნომრების დიაპაზონია 1-დან 99-მდე. მოთამაშეს, რომელიც ხან "მოედნის მოთამაშეა" და ხანაც მეკარე, ორივე-ნაირ მაისურზე ერთი და იგივე ნომერი უნდა ეწეროს. ნომრის ფერი მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს მაისურის ფერისა და დიზაინისგან.

9. მოთამაშეს უნდა ეცვას სპორტული ფეხსაცმელი. მოთამაშეს ისეთი არაფერი უნდა ეკეთოს, რაც მისთვისა და სხვებისთვისაც სახიფათო იქნება ან მისცემს რაიმე უპირატესობას. აკრძალულ ნივთებში შედის: ჩაფხუტი, ნიღაბი, სამაჯური > ბრასლეტი, მაჯის საათი, ბეჭედი, ხილული პირსინგი, ყელსაბამი, ძეწკვი, საყურე, სათვალე, რომელსაც აქვს მაგარი ჩარჩო ან არ აქვს დამჭერი (17.3).

მოთამაშეს, ვისაც ასეთი რამ უკეთია, თამაშში მონაწილეობა ეკრძალება მანამ, სანამ თავს არ მოიწესრიგებს.

თუ უხიფათოდაა შეფუთული, დასაშვებია ბრტყელ-პირა ბეჭდის, პატარა საყურისა და პირსინგის ტარება. ნება-დართულია რბილი, ელასტიური მასალისგან დამზადებული თმის თამასა, თავ-საფარი (ბენდენა ან ჩადრი) და კაპიტნის სამკლავური.

პასუხისმგებელი გუნდის ოფიციალური პირი თამაშის დაწყებამდე მატჩის ოქმზე/მოთამაშის რეგისტრაციაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ყველა მოთამაშე სწორად არის აღჭურვილი. თუ თამაშის დაწყების შემდეგ მსაჯები იპოვიან

არასათანადო აღჭურვილობას (წესის 4:9-ის მიხედვით), გუნდის პასუხისმგებელი პირი უნდა დაისაჯოს და მოთამაშემ უნდა დატოვოს სათამაშო მოედანი, სანამ პრობლემას არ გამოასწორებს.

თუ გუნდს აქვს რაიმე ეჭვი აღჭურვილობის შესახებ, გუნდის პასუხისმგებელი პირი უნდა დაუკავშირდეს მსაჯებს ან დელეგატს თამაშის დაწყებამდე (იხ. ასევე „სახელმძღვანელო და ინტერპრეტაციები“, დანართი 2).

მოთამაშეთა ტრამვა

10. მოთამაშე, ვისაც სისხლი სდის, ან სისხლი უსვია სხეულზე ან ფორმაზე, მოედნიდან უმაღლ და ნებით უნდა გავიდეს - რიგითი შეცვლით და მას შემდეგ დაბრუნდეს, რაც სისხლდენას შეუჩერებენ, ჭრილობას დაუფარავენ, სხეულსა და ფორმას მოუსუფთავენ;

თუ მოთამაშე ამ დროს მსაჯებს ეურჩება, ეგ უწესობად ჩაეთვლება (8.7, 16.1b და 16.3d).

11. ტრავმის შემთხვევაში მსაჯებს შეუძლიათ "ოქმში ჩაწერილ" ორ კაცს (4.3) თავისი გუნდის დაშავებული მოთამაშის მისახედად, ტაიმაუტის დროს დართონ მოედანზე შესვლის ნება (ჟესტები 15 და 16).

"სამედიცინო დახმარების" მოედანზე მიღების შემდეგ მოთამაშე უნდა შეიცვალოს (მოედნიდან გავიდეს). მას დაბრუნება მისივე გუნდის სამი შეტევის დასრულების შემდეგ შეეძლება (პროცედურა და გამონაკლისები იხილეთ განმარტება 8).

შეტევების დათვლილი რაოდენობის მიუხედავად, მოთამაშეს შეუძლია ხელახლა შევიდეს სათამაშო მოედანზე, როდესაც თამაში გრძელდება ტაიმის დასრულების შემდეგ. თუ მოთამაშე სათამაშო მოედანზე ძალიან ადრე შევა, ის დაისჯება წესის 4:4-4:6 მიხედვით.

შენიშვნა: მხოლოდ ეროვნულ ფედერაციებს აქვთ უფლება შეაჩერონ წესის 4:11, მე-2 პუნქტი, ახალგაზრდულ კატეგორიებში.

თუ ამ დროს მოედანზე იმ ორი კაცის კვალად შევა სხვაც – იმ გუნდის წევრიც, ვისაც არავინ დაშავებია - ეს "უნებართვოდ შესვლად" ჩაითვლება და დამრღვევს დაეკისრება სასჯელი შემდეგი წესებით: მოთამაშეს - 4.6 და 16.3a, ხოლო წარმომადგენელს - 4.2, 16.1b, 16.3d და 16.6c. თუ პირი მოედანზე 4.11, 1 პარაგრაფი წესის თანახმად შევიდა, მაგრამ დაშავებულის მიხედვის ნაცვლად გუნდს მითითებებს აძლევს, მეტოქეს ან მსაჯებს მიმართავს - ამ პირის საექიელო უწესობად ჩაითვლება (16.1b, 16.3d და 16.6c).

5. მეკარე

მეკარეს შეუძლია:

1. კარის დაცვისას, ზონაში, ბურთს შეეხოს სხეულის ნებისმიერი ნაწილით;
2. ზონაში ბურთი გადაადგილოს ისე, რომ დაარღვიოს "მოედნის მოთამაშისთვის" დაწესებული შეზღუდვა (7.2-4, 7.7); თუმცა, მეკარემ არ უნდა გააჭიანუროს "კარიდან ბურთის თამაშში შემოტანა" (6.4-5, 12.2, 15.5b);
3. უბურთოდ გავიდეს ზონიდან და "სათამაშო არეში" ითამაშოს; თუ ამას იზამს, მეკარეზე გავრცელდება ყველა წესი, რაც ეხება "მოედნის მოთამაშეს" (თუმცა იხილეთ, 8.5 პენიშვნა). მეკარე ზონიდან გასულად ითვლება, როგორც კი "ზონის საზღვრის" გადაღმა პარკეტს შეეხება, სხეულის ნებისმიერი ნაწილით.
4. ბურთიანად გავიდეს ზონიდან და "სათამაშო არეში" მისით ხელახლა ითამაშოს, თუკი მანამდე ბურთი ვერ მოიხელთა

მეკარეს ეკრძალება:

5. კარის დაცვისას სახიფათოდ ეთამაშოს მეტოქეს (8.3, 8.5, 8.5 პენიშვნა, 13.1b);
6. გავიდეს ზონიდან ბურთით, რომელსაც უკვე ფლობს (აკონტროლებს) ამ დარღვევისთვის ინიშნება თავისუფალი ტყორცნა (6.1, 13.1a, 15.7, #3), თუ მსაჯმა უკვე დაუსტვინა "კარიდან შემოტანის" შესასრულებლად; სხვაგვარი, "კარიდან შემოტანა" უბრალოდ მეორდება (15.7, #2); აქვე იხილეთ უპირატესობის წესი 15.7 - თუ მეკარემ ზონის გარეთ ბურთი დაკარგა მას შემდეგ, რაც მისიანად ზონის საზღვარი გადაკვეთა.
7. შეეხოს უძრავ ან იატაკზე მგორავ ბურთს ზონის გარეთ, თუ თავად ზონაშია (6.1, 13.1a);
8. ზონაში შეიტანოს ბურთი, რომელიც ზონის გარეთ უძრავია ან იატაკზე მიგორავს (6.1, 13.1a);
9. "სათამაშო არიდან" ბურთიანად დაბრუნდეს ზონაში (6.1, 13.1a);
10. ტერფით ან ფეხის "მუხლს ქვემო ნაწილით" შეეხოს ბურთს, რომელიც ზონიდან "სათამაშო არისკენ" მიდის (13.1a);
11. გადაკვეთოს 4-მეტრიანი ხაზი ან მისი წარმოსახვითი გაგრძელება მანამ, სანამ ბურთი 7-მეტრიანის შემსრულებელი მეტოქის მტევანს არ მოწყდება (14.9).

პენიშვნა: თუ იატაკს ცალი ტერფით ეხება 4-მეტრა შტრიხზე ან მის უკან, მეკარეს შეუძლია ეს შტრიხი ჰაერში გადაკვეთოს მეორე ტერფით ან სხეულის ნებისმიერი სხვა ნაწილით.

6. მეკარის ზონა

1. ზონაში შესვლა შეუძლია მხოლოდ მეკარეს (თუმცა, იხილეთ 6.3). "მოედნის მოთამაშე" ზონაში შესულად ითვლება, თუ მას სხეულის ნებისმიერი ნაწილით ეხება.

2. თუ მოედნის მოთამაშე ზონაში შევიდა, დაინიშნება:

a) კარიდან შემოტანა - თუ შემტევი ბურთიანად შევიდა ზონაში, ან იქვე შევიდა უბურთოდ, რითიც მისმა გუნდმა უპირატესობა მოიპოვა (12.1);

b) თავისუფალი ტყორცნა - თუ დამცველი შევიდა თავის ზონაში და ამით უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ მეტოქეს საგოლე შანსი არ გაბათილებია (13.1b, 8.7f);

c) 7-მეტრიანი - თუ დამცველი შევიდა თავის ზონაში და ამით მეტოქეს ნაღდი საგოლე შანსი გაუბათილა (14.1a).

ამ წესში "ზონაში შესვლად" ითვლება ზონაზე ცხადად დაბიჯება და არა უბრალოდ მისი საზღვრის შეხება.

3. მოთამაშე ზონაში შესვლისთვის არ ისჯება, თუ ეს გააკეთა:

a) ბურთით თამაშის შემდეგ და ამით მეტოქეს ხელი არ შეშლია;

b) უბურთოდ და ამით ვერ შეიქმნა უპირატესობა - წესი ეხება როგორც შემტევს, ასევე დამცველს.

4. ბურთი თამაშ-გარეა - თუ მას ზონაში მეკარე დაეუფლა (12.1). ამ დროს თამაში უნდა განახლდეს "მეკარის ტყორცნით" (12.2).

5. ბურთი თამაშშია - თუ ზონაში იატაკზე მიგორავს. ამ დროს ბურთი დამცველ გუნდს ეკუთვნის და მისი შეხება შეუძლია მხოლოდ მეკარეს. თუ ასეთი ბურთი მეკარემ (ხელით) აიღო, ბურთი თამაშ-გარეთ ითვლება, და თამაში 6.4 და 12.1-2 თანახმად უნდა განახლდეს (თუმცა იხილეთ 6.7b). თუ ზონაში მგორავ ბურთს მეკარის გუნდელი შეეხო, ინიშნება თავისუფალი ტყორცნა (13.1a), თუმცა იხილეთ (14.1a და განმარტება 6c), ხოლო თუ ასეთ ბურთს მეტოქე შეეხო, ინიშნება "კარიდან შემოტანა" (12.1(III)).

ბურთი თამაშ-გარეა -- თუ ზონაში, იატაკზე, უძრავად დევს (12.1(III)). ამ დროს ბურთი დამცველ გუნდს ეკუთვნის და მისი შეხება შეუძლია მხოლოდ მეკარეს. თამაშის განახლება მეკარეს მართებს "მეკარის ტყორცნით" 6.4 და 12.2 წესების თანახმად, თუმცა ასევე იხილეთ 6.7b. "მეკარის ტყორცნა" ძალაშია, გინდაც ბურთს ნებისმიერი სხვა გუნდის მოთამაშე შეეხოს (12.1, #2, 13.3).

ზონაზე ნება-დართულია ბურთის ჰაერში შეხება, თუ ამით 7.1 და 7.8 წესები არ ირღვევა.

6. თამაში მეკარის ტყორცნით (6.4-5) უნდა გაგრძელდეს, თუ ბურთს დამცველი შეეხო, და ბურთი მეკარემ დაიჭირა ან ზონაში გაჩერდა.

7. თუ დამცველმა ბურთი თავის ზონაში გაგზავნა:

a) ითვლება გოლი - თუ ბურთი კარში გავიდა

b) ინიშნება თავისუფალი - თუ ბურთი იქ გაჩერდა, ან ბურთს მეკარე შეეხო, მაგრამ კარში არ გასულა (13.1a-b);

c) გვერდიდან შემოტანა - თუ ბურთი გადაცდა "პირით ხაზს" (11.1);

d) თამაში გრძელდება - თუ ბურთმა გადაკვეთა ზონა და "სათამაშო არეში" დაბრუნდა ისე, რომ მას მეკარე არ შეხებია.

8. ზონიდან "სათამაშო არეში" დაბრუნებული ბურთი თამაშშია.

7. ბურთთან შეხება, პასიური თამაში

ბურთთან შეხება

დაშვებულია:

1. (გაშლილი ან მომუჭული) ხელის მტევნით, მკლავით, თავით, ტანით, ბარძაყით და მუხლით ტყორცნოს, დაიჭიროს, მოიგერიოს ბურთი; ჰკრას, დაარტყას ბურთს;

2. ეკავოს ბურთი მაქსიმუმ 3 წამით - გინდაც ბურთი იატაკზე იდოს (13.1a);

3. ბურთიანად გადადგას მაქსიმუმ 3 ნაბიჯი (13.1a); ერთ ნაბიჯად ითვლება:

a) იატაკზე ორივე ტერფით დგომისას - ცალის აწევა და ხელახლა დადგმა, ან ცალი ტერფის გადაადგილება;

b) იატაკზე ცალი ტერფით დგომისას - ბურთის დაჭერა და (ამის) შემდეგ -- იატაკის შეხება მეორე ტერფით;

c) ნახტომის შემდეგ - იატაკის მხოლოდ ცალი ტერფით "ნულოვანი" შეხება და შემდეგ იმავე ტერფიდან ახტომა, ან იატაკის შეხება მეორე ტერფით;

d) ნახტომის შემდეგ - იატაკის ორივე ტერფით ერთდროულად "ნულოვანი" შეხება და შემდეგ - ცალის აწევა და ხელახლა დადგმა, ან ცალი ტერფის გადაადგილება;

შენიშვნა: თუ ერთი ფეხი გადაადგილდება ერთი ადგილიდან მეორეზე, ხოლო მეორე ფეხი უკან არის, ჩაითვლება მხოლოდ ერთ გადადგმულ ნაბიჯად.

წესი არ დარღვეულა, თუ ბურთიანი მოთამაშე იატაკზე წაიქცა, გასრიალდა, წამოდგა და ბურთით ითამაშა. აქ შედის ის შემთხვევაც, როცა მოთამაშემ ბურთზე გადახტა, მას დაეუფლა და (ბურთიანად) წამოდგა.

4. დგომისას ან სირბილში

a) ბურთი იატაკიდან არეკლოს ერთხელ და იგი ცალი ან ორივე ხელით (მტევნით) დაიჭიროს;

b) ბურთი ზედიზედ არეკლოს ცალი ხელით - "ატაროს" - და შემდეგ ბურთი დაიჭიროს ან (იატაკიდან) აიღოს ცალი ან ორივე ხელით;

c) ბურთი იატაკზე ზედიზედ აგოროს ცალი ხელით და შემდეგ ბურთი დაიჭიროს ან (იატაკიდან) აიღოს ცალი ან ორივე ხელით.

ამ დროს - ბურთის ცალი ან ორივე ხელით დაჭერის შემდეგ - მოთამაშემ ბურთით უნდა ითამაშოს 3 წამში, ან არა-უმეტეს 3 ნაბიჯის გადადგმის შემდეგ (13.1a).

არეკვლა ან ტარება დაწყებულიად ითვლება, როცა მოთამაშე ბურთს შეეხო სხეულის ნებისმიერი ნაწილით და იგი იატაკისკენ მიმართა.

თუ ბურთი სხვას ან კარს შეეხო - მოთამაშეს შეუძლია ბურთის წაკრას ან ბურთი არეკლოს და იგი ხელახლა დაიჭიროს (თუმცა იხილეთ 14.6).

5. გადაიტანოს ბურთი ხელიდან ხელში.

6. ბურთით ითამაშოს (იატაკზე) დაჩოქილმა, დამჯდარმა და დაწოლილმაც; ანუ ნებადართულია (მაგალითად, თავისუფალი) ტყორცნის შესრულება ამ მდგომარეობებიდან - თუკი დაცულია 15.1 წესი და მოთამაშე (მინიმუმ) ცალი ტერფით მუდმივად ეხება იატაკს.

აკრძალულია:

7. ბურთის დაუფლების შემდეგ - მას კიდევ (ერთზე მეტად) შეეხოს, თუ დაუფლებიდან მეორედ შეხებამდე ბურთი არ შეეხო იატაკს, სხვა მოთამაშეს ან კარს (13.1a); "მეორედ შეხება" დარღვევად არ ითვლება, თუ მოთამაშე ბურთის დაჭერას ან მოგერიებას ცდილობდა და იგი პირველივე ჯერზე ვერ მოიხელთა (დაიმორჩილა).

8. შეეხოს ბურთს ტერფით ან ფეხის "მუხლს ქვემო ნაწილით", გამონაკლისი შემთხვევის გარდა: ბურთი მოთამაშეს მეტოქემ გაარტყა (13.1a-b, ასევე 8.7e).

9. თუ ბურთი მსაჯს მოედანზე შეეხო, თამაში გრძელდება.

10. თუ ბურთიანი მოთამაშე ცალი ან ორივე ტერფით მოედნიდან გავიდა - გინდაც ამ დროს ბურთი მოედანში დარჩეს (მაგალითად, დამცველის შემოვლისას) - მეტოქეს ერგება თავისუფალი ტყორცნა (13.1a).

თუ მოთამაშე მოედნის გარეთ უბურთოდ დადგა იმ დროს, როცა ბურთს მისი გუნდი ფლობს - მსაჯებმა უნდა ანიშნონ, რომ მოედანის ფარგლებში დაბრუნდეს. თუ მოთამაშემ მსაჯს არ დაუჯერა, ან იგივე გუნდი ასე კიდევ მოიქცა - ყოველგვარი შეხსენების გარეშე, მეტოქეს ერგება თავისუფალი ტყორცნა (13.1a). ამ დარღვევას არ მოყვება პირადი სასჯელი (წესები 8 და 16).

პასიური თამაში

11. დაუშვებელია ბურთის ფლობა გუნდის მიერ შეტევის ან რაიმე შესამჩნევი მცდელობის გარეშე. დაუშვებელია ცენტრიდან ტყორცნის, თავისუფალის, გვერდიდან შემოტანის, კარიდან შემოტანის რეგულარულად გაჟიანურებაც

(განმარტება 4). ყოველივე ეს "პასიურობად" ითვლება და თუ ბურთის მფლობელი გუნდი არ გააქტიურდა - იგი თავისუფალი ტყორცნით დაისჯება (13.1a).

მეტოქე ამ თავისუფალს ტყორცნას შეასრულებს იმ ადგილიდან, სადაც ბურთი სასჯელის დაკისრებისას იყო.

12. თუ მსაჯებმა გუნდს პასიურობა შეატყვეს, ეს "მე-17 ჟესტით" უნდა ანიშნონ. ამით გუნდს ეძლევა შანსი, შეცვალოს შეტევის რიტმი და ბურთი აღარ ჩამოერთვას. თუ გუნდმა შეტევის რიტმი არ შეცვალა სიგნალის შემდგომ, მსაჯებმა შესაძლებელია ბურთი ჩამოართვან ნებისმიერ მომენტში. გარდა ამისა, თუ გუნდმა არაფერი შეცვალა და არც კარში ტყორცნა - თავისუფალით ტყორცნით დაისჯება 4 პასის შემდგომ (13.1a, პროცედურა და განმარტება 4, სექცია D).

მსაჯების გადაწყვეტილება პასების რაოდენობაზე არის გადაწყვეტილება მათი ფაქტებზე დაკვირვების საფუძველზე, წესის 17:11 პრინციპით.

გარკვეულ სიტუაციებში მსაჯებს შეუძლიათ დანიშნონ თავისუფალი ტყორცნა მოწინააღმდეგე გუნდის სასარგებლოდ წინასწარი გამაფრთხილებელი სიგნალის გარეშე, მაგ. როდესაც მოთამაშე განზრახ თავს იკავებს მკაფიო გოლის შანსების გამოყენებისგან.

8. დარღვევები და უწესობა

ნებადართული ქმედებები

დაშვებულია:

1.

a) გაშლილი (ხელის) მტევნით სხვა მოთამაშეს გააგდებინოს (ხელში ჭერილი) ბურთი.

b) მოხრილი მკლავებით მეტოქეს სხეულზე შეეხოს, უმეურვეოს და მიყვეს.

c) ადგილისთვის (პოზიციისთვის) ბრძოლაში ტანით დაბლოკოს მეტოქე.

შენიშვნა: დაბლოკვა არის "მეტოქის არ-გაშვება ცარიელ (თავისუფალ) ადგილას". ბლოკის დაყენება, შენარჩუნება და მოშლა (მოხსნა) მეტოქის მიმართ პასიურად უნდა გაკეთდეს (8.2b).

დარღვევა, რომელსაც, როგორც წესი, არ მოყვება "პირადი სასჯელი" (გადაწყვეტილების საზომი 8.3a-d)

აკრძალულია:

2.

- a) მეტოქეს (ხელში ჭერილი) ბურთი ძალის-ძალად წაართვას (წაღლიტოს) ან ჩარტყმით გააგდებინოს.
- b) მეტოქე დაბლოკოს მკლავ(ებ)ით, ხელის მტევნით, ფეხებით, ან იგი სხეულის ნებისმიერი ნაწილით გაწიოს ან მოიშოროს - აქ შედის იდაყვის სახიფათოდ გამოყენებაც, გინდ დგომში და გინდ მოძრაობისას.
- c) სხეულზე ან ფორმაზე ჩავლებით იჭერდეს მეტოქეს - გინდაც ამას თამაშში არ ეშლებოდეს ხელი.
- d) სირბილით ან ახტომით შეეჯახოს მეტოქეს.

დარღვევა, რომლისთვისაც უპრიაია „პირადი სასჯელი“ (8.3-6 წესები)

3. დარღვევას, რომელშიც მოქმედების ძირითადი ან გამოკვეთილი სამიზნე მეტოქის სხეულია, "პირადი სასჯელიც" მოყვება. ეს ნიშნავს, რომ თავისუფალ ან 7-მეტრიან ტყორცნას დაემატება სათანადო (შესაბამისი) "მზარდი სასჯელი" ამ რიგით: გაფრთხილება (ყვითელი ბარათი) (16.1), 2 წუთიანი გაძევება (16.3b) და დისკვალიფიკაცია (16.6d).

უფრო მძიმე დარღვევისთვის დაწესებულია სასჯელის კიდევ სამი დონე:

- მყისი "2 წუთით გაგდება" (8.4);
- დისკვალიფიკაცია (წითელი ბარათი) (8.5);
- დისკვალიფიკაცია და მოხსენებითი ბარათი (8.6).

გადაწყვეტილების საზომი

იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი "პირადი სასჯელია" დასაკისრებელი (მისაცემი), ერთობლივადაა გასათვალისწინებელი შემდეგი გარემოებები:

- a) დამრღვევის **პოზიცია** (წინიდან, გვერდიდან, უკნიდან);
- b) სამიზნე - **სხეულის ნაწილი** (ტანი, ბურთიანი ხელი, ფეხები, თავი, ყელი, კისერი);
- c) აკრძალული მოქმედების **დინამიკა** (შეხების (ჯახის) სიმძლავრე, მეტოქის სიჩქარე);
- d) ასეთი მოქმედების **შედეგი**:

- გავლენა წონა-სწორობასა და ბურთის ფლობაზე
- მოძრაობის უნარის შემცირება ან მოშლა
- თამაშის ველარ-გაგრძელება

დარღვევის შეფასებისას უპრიანია სათამაშო ვითარების განხილვაც (მაგალითად, მოთამაშე ბურთს კარში ტყორცნიდა, გადიოდა ცარიელ ადგილზე, ჩქარა მირბოდა).

დარღვევა, რომლისთვისაც უპრიანია მყისი „2 წუთით გაგდება“

4. ზოგ დარღვევას პირდაპირ მოყვება "2 წუთით გაგდება" - გინდაც მოთამაშე მანამდე არც-კი გაეფრთხილებინათ.

ასეთ დარღვევებში მოთამაშე უგულებელ-ყოფს მეტოქის უსაფრთხოებას - მას სახიფათოდ ეთამაშება (აგრეთვე 8.5 და 8.6).

მაგალითები - 8.3 წესის "გადაწყვეტილების საზომის" მიხედვით:

- a) მძლავრი კონტაქტი მეტოქეზე, რომელიც ჩქარა მირბოდა;
- b) მეტოქის გაკავება დიდი ხნით ან მეტოქის წაქცევა;
- c) კონტაქტი თავის, ყელის, კისრის "არეში";
- d) ღონივრად ჩარტყმა ტანში ან მტყორცნელ (ბურთიან) ხელში;
- e) წონა-სწორობის დარღვევის მცდელობა (ამხტარი მეტოქისთვის ფეხში ჩავლება, იხილეთ 8.5a);
- f) მეტოქესთან გამოქანებით, ნახტომით შეჯახება.

დარღვევა, რომლისთვისაც უპრიანია დისკვალიფიკაცია

5. მოთამაშემ თუ ისე შეუტია მეტოქეს, რომ ამით მის ჯანმრთელობას ხიფათი შეუქმნა - წითლითაა გასაგდები (16.6a). ხიფათი იზრდება კონტაქტის სიმძლავრის მატებით; და მაშინაც, როცა მეტოქე შემოტევას არ ელის და ამდენად, სრულიად დაუცველია (8.5 შენიშვნა).

8.3 და 8.4 წესების საზომთა გარდა, აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებებიც:

- a) წონა-სწორობის დაკარგვა სირბილში, ნახტომში, ტყორცნისას;
- b) განსაკუთრებით აგრესიული ზემოქმედება მეტოქის სხეულის რომელიმე ნაწილზე - პირველ ყოვლისა, სახეზე, ყელზე, კისერზე და ამ კონტაქტის სიმძლავრე;
- c) მოთამაშის თავზე-ხელაღებული საქციელი (დამოკიდებულება) დარღვევის ჩადენისას.

შენიშვნა: თუ მოთამაშე ხტება ან მირბის - მცირე კონტაქტიც სახიფათოა და შეიძლება მძიმე ტრავმით დასრულდეს, რადგან იგი დაუცველია. ამ შემთხვევაში განაჩენის გამოსატანად მეტოქისთვის შექმნილი ხიფათი უფრო არსებითია, ვიდრე კონტაქტის სიმძლავრე.

ეს წესი ეხება მეკარის მიერ ზონიდან გამოსვლასაც - მეტოქისთვის გამიზნული პასის ჩასაჭრელად. ამ დროს მეკარეს მართებს იმის უზრუნველყოფა, რომ მეტოქის ჯანმრთელობას ხიფათი არ შეექმნას.

მეკარე წითლითაა გასაგდები, თუ:

a) ბურთს დაეუფლა, მაგრამ ზონიდან გამოსული მეტოქესაც შეეჯახა;

b) ბურთს ვერ მიწვდა და ვერც დაეუფლა, მაგრამ მეტოქეს კი შეეჯახა.

თუ მსაჯები დარწმუნებული არიან, რომ მეკარის მიერ წესის დარღვევა რომ არა, მეტოქე ბურთს მიწვდებოდა - 7-მეტრიანი უნდა დანიშნონ.

დისკვალიფიკაცია განსაკუთრებით თავზე-ხელაღებული ან სახიფათო, წინასწარ განზრახული ან მავნე მოქმედებისთვის, რასაც თან ერთვის მოხსენებითი ბარათი

6. თუ მსაჯებმა დარღვევა განსაკუთრებით თავზე-ხელაღებული ან სახიფათოდ, განზრახულად ან მავნედ შეაფასეს - მათ თამაშის შემდეგ "მოხსენებითი ბარათით" უნდა მიმართონ ფედერაციას, რათა ამას "სათანადო ზომების" მიღება მოჰყვეს.

8.5 წესის საზომთა გარდა, აქ გასათვალისწინებელია შემდეგიც:

a) მოქმედების განსაკუთრებით თავზე-ხელაღებული, სახიფათო ხასიათი;

b) წინასწარ განზრახული ან მავნე მოქმედება, რომელიც არ გამომდინარეობს სათამაშო სიტუაციიდან;

შენიშვნა: თუ 8.5 და 8.6 წესები "თამაშის ბოლო ნახევარ წუთში", გოლის არ-გასაშვებად დაირღვა - მოქმედება "უკიდურესად არასპორტულ საქციელად" უნდა შეფასდეს და დამრღვევს სასჯელი 8.10d წესის თანახმად დაეკისროს.

უწესობა, რომლისთვისაც უპრიანია "პირადი სასჯელი" (8.7-10)

უწესობად მიიჩნევა ნებისმიერი გამოთქმა ან ქმედება (უსიტყვოდ გამოხატვა), რომელიც არ შეეფერება (ეწინააღმდეგება) სპორტულ ადათს. ეს პრინციპი ერთნაირად ეხება მოთამაშესა და გუნდის წარმომადგენელს - მოედანზეც და მის გარეთაც. დასჯის მხრივ განირჩევა უწესობის, მეტის-მეტი უწესობისა და უკიდურესი უწესობის 4 დონე:

- პროგრესული დაჯარიმება (8.7);

- "მყისი 2 წუთით" დაჯარიმება (8.8);

- დისკვალიფიკაცია (8.9);
- დისკვალიფიკაცია და მოხსენებითი ბარათი (8.10a,b).

უწესობა, რომლისთვისაც უპრიანია "პროგრესული დაჯარიმება"

8.7 a-f მუხლებში ჩამოთვლილი მოქმედებები უწესობის ის შემთხვევებია, რომელთათვისაც უპრიანია "პროგრესული დაჯარიმება" - გაფრთხილებით დაწყებული (16.1b).

- a) მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტებან ისეთი რამის წამოძახება ან სხვაგვარად მოქმედება, რომელთა მიზანიც სასურველი განჩინების მიღწევაა;
- b) მეტოქის ან თანა-გუნდელის დამცირება სიტყვიერად ან ქესტით, მეტოქისთვის ისეთი რამის დაძახება, რამაც შეიძლება მას გონება გაუფანტოს;
- c) 3 მეტრზე არ-დამორებით ან სხვა ხერხით მეტოქისთვის ხელის შეშლა მსაჯის მიერ დანიშნული ტყორცნის დროულად შესრულებაში;
- d) სიაფანდობა მსაჯთა გასაბრიყვებლად მეტოქის მოქმედების გამო ან კონტაქტის გასაზვიადებლად - რათა ამათ გამოაცხადონ ტაიმ-აუტი, ან მეტოქე დაუმსახურებლად დასაჯონ;
- e) ტყორცნის ან პასის აქტიურად დაბლოკვა ტერფით ან ფეხის "მუხლს ქვემო ნაწილით" -- ოდონდაც, მოთამაშე არ უნდა დაისაჯოს "ალაღად რეფლექსური" მოძრაობისთვის (7.8);
- f) ზონაში მრავალჯერ შესვლა ტაქტიკური მოსაზრებებით.

უწესობა, რომლისთვისაც უპრიანია მყისი "2 წუთით გაგდება"

8. უწესობის ზოგი შემთხვევა უფრო მძიმეა და იმსახურებს მყის (უთუმცაო) "2 წუთით გაგდებას" - იმის და მიუხედავად, მოთამაშე ან წარმომადგენელი მანამდე გააფრთხილეს თუ არა.

ამაში შედის:

- a) ხმა-მაღალი პროტესტი, უდიერი ქესტები, გამომწვევად ქცევა;
- b) გუნდს - მსაჯის გადაწყვეტილებით - ბურთი ჩამოერთვა, მაგრამ მისმა მოთამაშემ ბურთი უმაღლ არ დააგდო ან დადო იატაკზე ისე, რომ მეტოქეს თამაში შეძლებოდა;
- c) მოთამაშემ მეტოქე არ მიუშვა შეცვლის ზოლში გადასულ ბურთთან;
- d) როდესაც ღია სათამაშო სიტუაციაში და შეუფერხებელ სიტუაციაში მოთამაშის დარტყმული ბურთი მეკარეს თავში მოხვდება.

შენიშვნა:

მეკარეს ბურთით თავში გარტყმის კრიტერიუმები:

- წესი გამოიყენება მხოლოდ ღია თამაშის სიტუაციებში, ანუ მსროლელსა და მეკარეს შორის მცველი არ არის.
- თავი უნდა იყოს ბურთის შეხების პირველი წერტილი. წესი არ მოქმედებს, თუ ბურთი მოხვდება მეკარეს თავში მას შემდეგ, რაც სხეულის რომელიმე სხვა ნაწილს შეეხო.
- წესი არ მოქმედებს, თუ მეკარე მოძრაობს თავით ბურთის მიმართულებით.
- თუ მეკარე ცდილობს მსაჯების შეცდომაში შეყვანას სასჯელის პროვოცირების მიზნით (მაგალითად მას შემდეგ, რაც ბურთი მეკარეს მოხვდა მკერდში), მეკარე უნდა დაისაჯოს წესის 8:7d-ის მიხედვით.

მეტის-მეტი უწესობა, რომლისთვისაც უპრიანია "დისკვალიფიკაცია"

9. უწესობის ზოგი შემთხვევა იმდენად მძიმედ ითვლება, რომ დისკვალიფიკაციას იმსახურებს.

ამგვარი უსაქციელობის მაგალითებია:

- a) მსაჯთა გადაწყვეტილების შემდეგ ბურთის განგებ, ყველას დასანახად მოსროლა, ტყორცნა, დარტყმა;
- b) მეკარე ყველას დასანახად არც-კი ეცადა 7-მეტრიანის მოგერიებას;
- c) შეჩერებულ თამაშში მეტოქისთვის ბურთის განგებ დამიზნება, მორტყმა; თუ ასეთი ტყორცნა დიდი ძალით და ძალიან ახლოდან შესრულდა, უპრიანი იქნება უსაქციელობის "სერიოზულ უხეშ მოქმედებად" შეფასება (8.6);
- d) 7-მეტრიანის მტყორცნელმა მეკარეს ბურთი თავში გაარტყა მაშინ, როცა ამას თავი ბურთისკენ არც-კი გაუმოდრავებია;
- e) თავისუფალის მტყორცნელმა დამცველს ბურთი თავში გაარტყა მაშინ, როცა ამას თავი ბურთისკენ არც-კი გაუმოდრავებია;
- f) დარღვევის შემდეგ სამაგიეროს გადახდა.

შენიშვნა: 7-მეტრიანისა და თავისუფალის ტყორცნის დროს მეკარისა და დამცველის უსაფრთხოებაზე პასუხის-მგებლობა მტყორცნელს ეკისრება.

დისკვალიფიკაცია და მოხსენებითი ბარათი "უკიდურესი უწყსობისთვის"

10. თუ მსაჯებმა უსაქციელობა "უკიდურესად" მიიჩნიეს - მათ თამაშის შემდეგ "მოხსენებითი ბარათით" უნდა მიმართონ ფედერაციას, რათა ამას "სათანადო ზომების" მიღება მოჰყვეს.

შემდეგ შემთხვევებში (a, b), მსაჯებმა უნდა წარადგინონ მოხსენებითი ბარათი თამაშის დასრულების შემდეგ, რათა უფლება მისცენ კომპეტენტურ ორგანოებს გადაწყვიტონ რა ზომები უნდა იქნას მიღებული:

a) მსაჯის, დროის მსაჯის, მდივნის, დელეგატის, გუნდის წარმომადგენლის, მოთამაშის, მაყურებლის შეურაცხყოფა, ან ამათზე მიმართული მუქარა; ქმედება შეიძლება იყოს სიტყვიერიც და უსიტყვოც (მაგალითად, სახის გამომეტყველება, ჟესტი, დგომი ანუ პოზა, სხეულის შეხება (ფიზიკური კონტაქტი));

b) (I) წარმომადგენელი თამაშში ჩაერთა - გინდ მოედანზე და გინდაც შეცვლის ზოლიდან ან (II) მოთამაშემ "ნაღდი საგოლე შანსი" გააბათილა მოედანზე შეჭრით (უწყსოდ შესვლით) (4.6) ან შეცვლის ზონიდან.

შემდეგი დარღვევების შემთხვევაში (c, d), მოწინააღმდეგეებს ენიჭებათ 7 მეტრიანი ტყორცნა:

c) თუ "თამაშის ბოლო ნახევარ წუთში" ბურთი თამაშ-გარე იყო, მოთამაშემ ან წარმომადგენელმა კი მეტოქეს არ დაანება ან არ დააცალა ტყორცნის შესრულება - რათა მეტოქის კარში ვეღარ ეტყორცნა ანუ "ნაღდი საგოლე შანსი" მიეღო. ამ დროს არ-დანებებაში იგულისხმება ნებისმიერი "ხელის შეშლა": უმნიშვნელო შეხება; პასის ჩაჭრა; პასის მიმღებზე თამაში; ბურთის დაკავება - არ-მიცემა.

d) თუ "თამაშის ბოლო ნახევარ წუთში" ბურთი თამაშში იყო, მეტოქემ კი

(1) მოთამაშის მხრიდან წესების დარღვევა - 8.5 და 8.6 და ასევე 8.10a ან 8.10b (II);

(2) ოფიციალური პირის მხრიდან წესების დარღვევა 8.10a ან 8.10b (I).

ბურთის მფლობელ გუნდს არ შეეძლოს კარში დარტყმის განხორციელება ან ნაღდი საგოლე შანსის მოპოვება, დამნაშავე მოთამაშე ან ოფიციალური პირი დისკვალიფიცირებულია შესაბამისი წესების მიხედვით და ბურთის მფლობელ გუნდს ეძლევა 7 მეტრიანი ტყორცნა.

თუ შემტევმა რომეზუც ჯარიმდებოდნენ, ან თანაგუნდელმა მაინც მოახერხა ტყორცნა და გოლიც გაიტანა, 7-მეტრიანი აღარ ინიშნება.

9. გოლი

1. გოლი გატანილად ითვლება, თუ მთელმა ბურთმა სრულად გადაკვეთა კარის ხაზი (ნახაზი 4) და მტყორცნელს, მის გუნდელებსა და ოფიციალურ პირებს ტყორცნამდე და ტყორცნის დროს წესები არ დაურღვევიათ. გოლის გატანას "პირით ხაზზე მყოფი მსაჯი" ორი მოკლე დასტვენითა და "მე-12 ჟესტით" ადასტურებს.

გოლი ითვლება, თუ დამცველმა წესი დაარღვია, მაგრამ ბურთი კარში მაინც გავიდა.

გოლი არ ითვლება, თუ თამაში მსაჯმა, ტაიმკიპერმა ან დელეგატმა შეაჩერა მანამ, სანამ ბურთი სრულად გადაკვეთდა კარის ხაზს.

გოლი მეტოქე გუნდს ეთვლება, თუ მოთამაშემ ბურთი თავის კარში გაიტანა, თუმცა გამონაკლისია, თუ მეკარე ასრულებდა "მეკარის ტყორცნას" (12.2, #2).

შენიშვნა: გოლი უნდა ჩაითვალოს, თუ ბურთის კარში გასვლას გარეშე პირმა ან საგანმა (მაგალითად, მაყურებელმა) შეუშალა ხელი, და მსაჯების აზრით, უამისოდ ეს მოხდებოდა.


2. ჩათვლილი გოლი ვერ გაუქმდება, თუ მსაჯმა უკვე დაუსტვინა "ცენტრიდან ტყორცნის" შესასრულებლად (თუმცა იხილეთ, 2.9 შენიშვნა).

თუ ტაიმის ბოლოს მაუწყებელი სირენა გოლის გატანის-თანავე გაისმა და "ცენტრიდან ტყორცნა" ვეღარ მოესწრება - მსაჯებმა გოლის ჩათვლა მკაფიოდ უნდა აღნიშნონ.

შენიშვნა: გოლი ტაბლოზე უნდა აისახოს მსაჯთა მიერ მისი ჩათვლის-თანავე.

3. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელმაც მეტოქეზე მეტი გოლი გაიტანა. თუ გოლი ორივე გუნდმა თანაბრად (ან საერთოდ ვერ) გაიტანა - მაშინ ფრეა (2.2).

ნახაზი 4



10. ცენტრიდან ტყორცნა

1. თამაშის დაწყებისას "ცენტრიდან ტყორცნას" ასრულებს გუნდი, რომელმაც წილის-ყრა მოიგო და ბურთი აირჩია. წილის-ყრის წამგებს ამ დროს შეუძლია მოედნის მხარის არჩევა, და პირიქით - თუ წილის-ყრის მომგებმა მოედნის მხარე აირჩია, თამაშს მეტოქე დაიწყებს "ცენტრიდან ტყორცნით".

მეორე ტაიმისთვის გუნდები ერთმანეთს მოედნის მხარეებს გაუცვლიან. ტაიმს "ცენტრიდან ტყორცნით" იწყებს ის გუნდი, რომელსაც ეს თამაშის დაწყებისას არ უქნია.

ყოველი ოვერ-ტაიმის წინ ეწყობა ხელ-ახალი წილის-ყრა და ამ წესში, ზემოთ მოტანილი დებულებებიც (10.1) ძალაში რჩება.

2. გოლის შემდეგ თამაშს "ცენტრიდან ტყორცნით" აახლებს გოლის გამშვები გუნდი (თუმცა იხილეთ 9.2, #2).

3. "ცენტრიდან ტყორცნა" მოედნის ცენტრიდან

a. "ცენტრიდან ტყორცნა" მოედნის ცენტრიდან, ნებისმიერ მხარეს (მიმართულებით) სრულდება - ნება-დართულია ცენტრიდან განზე, მეტრ-ნახევრით (1.5მ) გასვლა. ტყორცნას წინ უსწრებს სასტვენის; ტყორცნა აქედან 3 წამში უნდა შესრულდეს (13.1a, 15.7, #3). მტყორცნელს ცალი ტერფი ცენტრის ხაზზე უნდა ედგას, მეორე კი - ამავე ხაზზე ან მასზე უკან (15.6) და ამ ადგილას დარჩეს, სანამ ბურთი ხელის მტევანს არ მოწყდება (13.1a, 15.7, #3) (ასევე განმარტება 5).

მტყორცნელის გუნდულებმა ცენტრის ხაზი სასტვენამდე არ უნდა გადაკვეთონ (15.6).

b. „ცენტრიდან ტყორცნა“ ცენტრის ზონიდან

- ტყორცნა მიიღება ადგილიდან ნებისმიერი მიმართულებით. მას წინ უძღვის სასტვენის სიგნალი, რის შემდეგაც ის უნდა განხორციელდეს 3 წამის განმავლობაში (13:1a, 15:7, #3).

- მსაჯების მიერ სასტვენის სიგნალი შეიძლება იყოს მაშინ, როდესაც ბურთი ტყორცნის ზონაშია და მსროლელს აქვს მინიმუმ ერთი ფეხი ტყორცნის ადგილის შიგნით (15:6).

- მსროლელს უფლება არ აქვს გადაკვეთოს ტყორცნის ადგილის ხაზი სხეულის რომელიმე ნაწილით, სანამ ტყორცნა დასრულებულად არ ჩაითვლება (13:1a, 15:7, #3).

- მსროლელს უფლება აქვს იმოძრაოს ტყორცნის ადგილის შიგნით, მაგრამ მას არ ეძლევა ბურთით დრიბლინგის უფლება სასტვენის სიგნალის შემდეგ (13:1a, 15:7, #3).

- ტყორცნა შეიძლება შესრულდეს სირბილისას. დაუშვებელია ტყორცნის შესრულებისას ახტომა (13:1a, 15:7, #3).

- ცენტრიდან ტყორცნა შესრულებულად ითვლება, როდესაც ან

- ბურთმა ჯერ დატოვა მსროლელის ხელი და შემდეგ მტყორცნელმა მთლიანად გადაკვეთა ტყორცნის არეალის ხაზი; ან
- ბურთი გადასცა თანაგუნდელს და რომელსაც აქვს კონტროლი, თუმცა ეს მოხდა ტყორცნის ზონაში.

- მტყორცნელის თანაგუნდელებს არ აქვთ უფლება გადაკვეთონ ცენტრის ხაზი სასტვენის სიგნალამდე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი იმყოფებიან ტყორცნის ზონაში (15:6).

- დამცველი გუნდის მოთამაშეები უნდა იმყოფებოდნენ ტყორცნის ადგილის გარეთ და არ შეუძლიათ ბურთს ან მეტოქეებს შეეხონ, სანამ სროლა არ ჩაითვლება განხორციელებულად (15:4, 8:7c). მათ შეუძლიათ ტყორცნის ადგილის გარეთ ყოფნა.

4. ტაიმების დაწყებისას (ოვერ-ტაიმებიანად) - ცენტრიდან ტყორცნამდე - ყველა მოთამაშე მოედნის თავის ნახევარზე უნდა იყოს, ან ტყორცნის არეაში.

აღსანიშნავია, რომ გოლის შემდეგ - "ცენტრიდან მტყორცნელის" მეტოქეები შეიძლება იყვნენ ორივე ნახევარზე.

ნებისმიერ შემთხვევაში - მეტოქეები მინიმუმ 3 მეტრით უნდა მოშორდნენ (გაერიდონ) "ცენტრიდან მტყორცნელს" (15.4, 15.9, 8.7c).

ცენტრიდან ტყორცნისას (10:3b), მეტოქეები მთელი სხეულით უნდა იყვნენ არეალის ხაზის გარეთ (15:4, 15:9, 8:7c).

11. გვერდითი ტყორცნა

1. "გვერდითი ტყორცნა" (აუტი) ინიშნება, თუ ბურთმა სრულად გადაკვეთა გვერდითი ხაზი ან სანამ ბურთი პირით ხაზს გადაკვეთდა, მას ბოლო დამცველი გუნდის "მოედნის მოთამაშე" შეეხო.

ასევე ინიშნება, როცა ბურთი მოხვდა ჭერს ან მოედნის თავზე აღმართულ ხიმინჯებს.

2. გვერდითი ტყორცნა ხორციელდება სასტვენის გარეშე (თუმცა იხილეთ 15.5b), ასრულებს მეტოქე იმ გუნდისა, რომლის მოთამაშეც ბურთს ბოლო შეეხო ხაზის გადაკვეთამდე (ან ჭერის, ხიმინჯის შეხებამდე).

3. გვერდიდან შემოტანა სრულდება ბურთის მიერ გვერდითი ხაზის გადაკვეთის ადგილიდან. თუ ბურთმა პირითი ხაზი გადაკვეთა - ამ ხაზისა და გვერდითი ხაზის შეერთების წერტილიდან (მოედნის კუთხიდან).

თუ ბურთი ჭერს ან ხიმინჯებს მოხვდა - შეხების ადგილთან უახლოესი წერტილიდან, ოდონდაც უახლოეს გვერდით ხაზზე.

4. მტყორცნელს ცალი ტერფი გვერდით ხაზზე უნდა ედგას და ამ ადგილას დარჩეს, სანამ ბურთი ხელის მტევანს არ მოწყდება (13.1a, 15.6, 15.7, #2-3).

5. ტყორცნის შესრულებისას მეტოქეები მინიმუმ 3 მეტრით უნდა მოშორდნენ მტყორცნელს (15.4, 15.9, 8.7c).

გამონაკლისია, როცა დამცველი თავისი ზონის საზღვართან დგას (კუთხისკენ).

12. მეკარის ტყორცნა

1. "მეკარის ტყორცნა" ინიშნება, თუ: (I) მეტოქე გუნდის მოთამაშე - 6.2ა წესის დარღვევით ზონაში შევიდა; (II) მეკარე ბურთს ზონაში დაუფლა, ან ბურთი იქვე, იატაკზე, უძრავად დევს (6.4-5); (III) მეტოქე გუნდის მოთამაშე შეეხო ზონაში, იატაკზე მგორავ ბურთს (6.5, #1); ან (IV) სანამ ბურთი პირით ხაზს გადაკვეთდა, მას ბოლო შეეხო მეკარე, ან მეტოქე გუნდის მოთამაშე.

ყველა ამ შემთხვევაში ბურთი თამაშ-გარეთ (თამაშიდან გასულად) ითვლება, რის გამოც თამაში მაინც "მეკარის ტყორცნით" უნდა განახლდეს - გინდაც მისი დანიშნვიდან შესრულებამდე (რაიმე) წესი დაირღვეს (13.3).

2. "მეკარის ტყორცნა" სასტვენის გარეშე სრულდება (თუმცა იხილეთ, 15.5b) - ბურთს ზონიდან ტყორცნის "ზონის საზღვრის" გადაღმა.

თუ გუნდი, რომელმაც უნდა შეასრულოს მეკარის ტყორცნა, თამაშობს მეკარის გარეშე, მეკარემ უნდა შეცვალოს მოედნის ერთ-ერთი მოთამაშე (4.4). მსაჯები წყვეტენ, საჭიროა თუ არა ტაიმ-აუტი (2.8, 2 პუნქტი, განმარტება 2).

"მეკარის ტყორცნა" შესრულებულად ითვლება, თუ მეკარის მიერ ნატყორცნმა ბურთმა სრულად გადაკვეთა ზონის საზღვარი.

მეტოქე გუნდის მოთამაშეებს შეუძლიათ დადგნენ ზედ "ზონის საზღვრის" გადაღმა, მაგრამ მათ ბურთის შეხება მანამ ეკრძალებათ, სანამ ბურთი საზღვარს სრულად არ გადაკვეთს (15.4, 15.9, 8.7c).

13. თავისუფალი ტყორცნა

რისთვის ინიშნება თავისუფალი

1. ჩვეულებრივ, მსაჯები თამაშს აჩერებენ და მეტოქეს აკისრებენ მის განახლებას თავისუფალი ტყორცნით, თუ“

a) (ბურთის მფლობელმა) გუნდმა წესი ისე დაარღვია, რომ ბურთი უნდა ჩამოეერთვას (4.2-3, 4.5-6, 5.6-10, 6.5 #1, 6.7b, 7.2-4, 7.7-8, 7.10, 7.11-12, 8.2-10, 10.3, 11.4, 13.7, 14.4-7, 15.7 #3 და 15.8).

b) მეტოქემ წესი დაარღვია და ამით გუნდმა ბურთი დაკარგა (4.2- 3, 4.5-6, 5.5, 6.2b, 6.7b, 7.8, 8.2-10).

2. მსაჯები თამაშის გაგრძელებას უნდა ეცადონ თავისუფალი ტყორცნის დანიშვნით თამაში ნაადრევად არ შეაჩერონ.

13.1a წესის მიუხედავად, მსაჯებმა აღარ უნდა დანიშნონ თავისუფალი, თუ შემტევმა წესი (კი) დაარღვია, მაგრამ დამცველი გუნდი ბურთს უმაღლეს დონეზე უნდა დაუბრუნოს.

13.1b წესის მიუხედავად, მსაჯები თამაშში არ უნდა ჩაერიონ მანამ, სანამ ცხადი არ შეიქნება, რომ დამცველის მიერ წესის დარღვევის გამო შემტევმა ბურთი დაკარგა, ან შეტევას ვეღარ აგრძელებს.

თუ დასაკისრებელია პირადი სასჯელი, მსაჯებს შეუძლიათ თამაშის უმაღლეს დონეზე შეჩერება -
- ოღონდაც, ამით დამრღვევის მეტოქე გუნდმა არ უნდა იზარალოს თუ შეჩერება დამრღვევს აწყობს, სასჯელის "მიცემა" უნდა გადაიდოს ეპიზოდის დასრულებამდე.

13.2 წესი არ ეხება 4.2-3 და 4.5-6 წესთა დარღვევას: ამ დროს თამაში უმაღლეს დონეზე შეჩერდეს - ჩვეულებრივ, ტაიმკიპერის, დელეგატის ან მსაჯის ჩარევით.

3. თუ 13.1a-b წესთა თანახმად, დარღვევის გამო დასანიშნია თავისუფალი ტყორცნა, მაგრამ ეს დარღვევა "ბურთის თამაშ-გარეთ" ყოფნისას (შეჩერებულ თამაშში) მოხდა - თამაში უნდა განაგრძდეს ტყორცნით, რომელიც მიმდინარე შეჩერებას (პაუზას) შეეფერება (ასევე იხილეთ 8.10c, სპეციალური ინსტრუქციები ბოლო 30 წამის წესთან დაკავშირებით).

4. 13.1a-b წესებში ჩამოთვლილ შემთხვევათა გარდა, თამაში თავისუფალით უნდა განაგრძდეს მაშინაც, როცა წესის დაურღვევლად შეჩერდა. ამ დროს, თუ შეჩერებისას ბურთს:

a) რომელიმე გუნდი ფლობდა - თავისუფალსაც ის შეასრულებს;

b) არავინ ფლობდა (ბურთი არავისაც არ იყო) - თავისუფალი ერგება იმ გუნდს, რომელიც ბურთს ბოლო (წინა ჯერზე) ფლობდა.

5. თუ მსაჯმა დაუსტვინა და თავისუფალით დასაჯა ბურთის მფლობელი გუნდი - მოთამაშემ, ვინც ამ დროს ბურთს ფლობს, უმაღლეს დონეზე უნდა დააგდოს ან დადოს ბურთი იატაკზე, რომ მეტოქეს თამაში შეეძლოს (8.8b).

თავისუფალი ტყორცნის შესრულება

6. ჩვეულებრივ, თავისუფალი ტყორცნა უსასტვენოდ (თუმცა იხილეთ 15.5b) სრულდება დარღვევის ადგილიდან. გამონაკლისებია:

13.4a-b წესებში აღწერილ შემთხვევებში, თავისუფალი სრულდება სასტვენის შემდეგ - ჩვეულებრივ, იმ ადგილიდან, სადაც ბურთი თამაშის შეჩერებისას იყო.

თუ მსაჯმა ან დელეგატმა თამაში დამცველი გუნდის მოთამაშის ან წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დარღვევის გამო შეაჩერა, ამას მოყვა სიტყვიერი გაფრთხილება ან პირადი სასჯელი, და ის ადგილი, სადაც ბურთი თამაშის შეჩერებისას იყო, დარღვევის ადგილზე უმჯობესია - თავისუფალი ამ, "შეჩერებისას ადგილიდან" უნდა შესრულდეს

წინა გამონაკლისი ეხება იმ შემთხვევასაც, როცა ტაიმკიპერმა თამაში 4.2-3 და 4.5-6 წესთა დარღვევის გამო შეაჩერა.

7.11 წესის თანახმად, პასიურობის გამო დანიშნული თავისუფალი ტყორცნა სრულდება იმ ადგილიდან, სადაც ბურთი თამაშის შეჩერებისას (სასტვენის დროს) იყო.

ზემოთ მოტანილ, ზოგად დებულებათა მიუხედავად, თავისუფალი არასოდეს არ სრულდება, მტყორცნელი გუნდის ზონიდან და არც მეტოქის 9-მეტრა რკალის შიგნიდან. თუ, წესთა თანახმად, თავისუფალი ამ არეებიდანაა შესასრულებელი - ტყორცნის ადგილი "აღკვეთილი არის" გარეთ, თამაში კი უახლოესი წერტილიდან უნდა განახლდეს.

შენიშვნა: თუ წესით დადგენილი "ტყორცნის ადგილი" დამცველი გუნდის 9-მეტრა რკალზეა, თავისუფალი ზედ ამ წერტილიდან უნდა შესრულდეს. ერთი კია, რაც უფრო შორდება ეს ადგილი რკალს, მით მეტი ცდომილებაა ნება-დართული. ჰოდა, თუ გუნდი თავისი ზონის ზედ საზღვრის გარედან ტყორცნის, სხვაობად 3 მეტრიც დასაშვებია.

წინა აბზაცში ახსნილი სხვაობა არ ვრცელდება 13.5 წესის დარღვევაზე, თუკი სასჯელი 8.8b წესით გაიცა. ამ დროს თავისუფალი ზუსტად იმ ადგილიდან უნდა შესრულდეს, სადაც დარღვევა მოხდა.

7. თავისუფალი ტყორცნის შემსრულებელი გუნდის მოთამაშეები ტყორცნამდე არ უნდა შეეხონ მეტოქის 9-მეტრა რკალს, და არც ეს ხაზი გადაკვეთონ. იხილეთ მეზღუდვა წესში 2.5.

თუ მტყორცნელი გუნდის მოთამაშეები თავისუფალის შესრულებამდე მეტოქის 9-მეტრა რკალსა და ზონის საზღვარს შორის განლაგდნენ, და ეს თამაშზე ზემოქმედებს - მსაჯმა მათ განლაგება უნდა შეუსწოროს (15.3, 15.6). ამ დროს თავისუფალი სასტვენის შემდეგდა სრულდება (15.5b). იგივე პროცედურა გამოიყენება, თუ მტყორცნელი გუნდის მოთამაშეები თავისუფალის შესრულებამდე - ვიდრე ბურთი მტყორცნელის ხელის მტევანს მოწყდებოდა - აღკვეთილ არეში შევიდნენ, და ტყორცნას წინ არ უსწრებდა სასტვენი (15.7#2).

თუ თავისუფალის შესრულების ნება გუნდს სასტვენით დაერთო და მისი მოთამაშეები 9-მეტრა რკალს შეეხნენ, ან იგივე ხაზი გადაკვეთეს ტყორცნამდე - ანუ ვიდრე ბურთი მტყორცნელის ხელის მტევანს მოწყდებოდა - დამცველ გუნდს იქეთ ერგება თავისუფალი (15.7 #3, 13.1a).

8. თავისუფალის შესრულებისას მეტოქე მტყორცნელს მინიმუმ 3 მეტრით უნდა მოშორდეს. თუმცა, როცა ტყორცნა ზედ 9-მეტრა რკალიდან სრულდება, ხოლო დამცველი თავისი ზონის საზღვართან დგას თავისუფალის შესრულებისთვის ხელის შემლა 15.9 და 8.7c წესთა მიხედვით ისჯება.

14. 7-მეტრიანი ტყორცნა

7-მეტრიანის დანიშვნის გადაწყვეტილება

1. გუნდს 7-მეტრიანი ტყორცნა ეძლევა (ერგება), თუ

a) მეტოქე გუნდის მოთამაშემ ან წარმომადგენელმა, მოედნის ნებისმიერ მონაკვეთში, წესის დარღვევით გაუბათილა "ნაღდი საგოლე შანსი";

b) "ნაღდ საგოლე შანსისას" გაისმის უცაბედი სასტვენის ხმა;

c) "ნაღდი საგოლე შანსი" გარეშე (თამაშში არ-მონაწილე) პირმა გაუბათილა - მაგალითად, მაყურებელი შევიდა მოედანში ან მოთამაშე დასტვენით გააბრიყვა (9.1 შენიშვნა). ეს წესი გამოიყენება საგანგებო ვითარებაშიც (ფორს მაჟორში).

d) არის დარღვევა წესების 8:10c ან 8:10d მიხედვით (თუმცა, იხილეთ 8:10 ბოლო აბზაცი).

ანალოგიურად, ეს წესი ასევე მოქმედებს „ფორს მაჟორის“ შემთხვევაში, როგორიცაა უეცარი ელექტროენერგიის გათიშვა, რომელიც აჩერებს თამაშს ზუსტად გოლის გატანის აშკარა შანსების დროს. იხილეთ განმარტება 6 - ნაღდი საგოლე შანსი.

2. თუ 14.1ა წესის პირობებში შემტევმა მოთამაშემ მაინც შეინარჩუნა ბურთი და წონასწორობა - 7-მეტრიანი ტყორცნა აღარ დაინიშნება, გინდაც "ნაღდი საგოლე შანსი" გამოუყენებელი დარჩეს.

როცა 7-მეტრიანის დანიშვნა შესაძლებელი, მსაჯებმა თამაშში ჩარევისგან თავი უნდა შეიკავონ მანამ, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ ასეთი განაჩენი მართლაც გამართლებული და აუცილებელია. თუ შემტევმა გოლი მაინც, დამცველის მიერ წესის დარღვევის მიუხედავად გაიტანა, ცხადია, რომ 7-მეტრიანი აღარ უნდა დაინიშნოს. პირიქით: თუ ცხადია, რომ შემტევმა დარღვევის გამო დაკარგა ბურთი ან წონასწორობა, და ამით "ნაღდი შანსიც" გაბათილდა, 7-მეტრიანი დასანიშნია.

წესი 14:2 არ გამოიყენება 4:2-3 ან 4:5-6 წესების დარღვევის შემთხვევაში, როდესაც თამაში დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ტაიმკიპერის, დელეგატის ან მსაჯების სიგნალით.

3. 7-მეტრიანის დანიშვნისას მსაჯებს შეუძლიათ ტაიმ-აუტის გამოცხადება - ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა მეკარის ან მტყორცნელის ცვლილება ხორციელდება, ტაიმ-აუტის გამოცხადების პირობები - განმარტება 2.

როგორ სრულდება 7-მეტრიანი

4. 7-მეტრიანი სრულდება კარში ტყორცნით, მსაჯის სასტვენიდან 3 წამში (15.7, #3; 13.1a).

5. 7-მეტრიანის მტყორცნელი უნდა დადგეს 7-მეტრა ხაზის უკან, მისგან მაქსიმუმ 1 მეტრზე (15.1, 15.6). მსაჯის სასტვენის შემდეგ მტყორცნელი არ უნდა შეეხოს 7-მეტრა

ხაზს და მანვე არ უნდა გადაკვეთოს ეს ხაზი, სანამ ბურთი მისი ხელის მტევანს არ მოწყდება (15.7, #3; 13.1a).

6. 7-მეტრიანის შესრულების შემდეგ, მტყორცნელმა და მისმა გუნდულებმა ბურთით არ უნდა ითამაშონ მანამ, სანამ ბურთი არ შეეხება მეტოქეს ან კარს (15.7, #3; 13.1a).

7. 7-მეტრიანის შესრულებისას მტყორცნელის გუნდულები 9-მეტრა რკალს გარეთ უნდა განლაგდნენ, და იქვე დარჩნენ, სანამ ბურთი მტყორცნელის ხელის მტევანს არ მოწყდება (15.3, 15.6). თუ მათ ეს წესი დაარღვიეს, მეტოქე გუნდს იქეთ ერგება თავისუფალი (15.7, #3; 13.1a)

8. 7-მეტრიანის შესრულებისას მეტოქე გუნდის მოთამაშეები 9-მეტრა რკალს გარეთ უნდა განლაგდნენ, და 7-მეტრა ხაზიდან მინიმუმ 3 მეტრზე დარჩნენ, სანამ ბურთი მტყორცნელის ხელის მტევანს არ მოწყდება. ამ წესის დარღვევისთვის 7-მეტრიანი გამეორდება, თუკი პირველი ტყორცნით გოლი არ გასულა, მაგრამ პირადი სასჯელი არავის არ დაეკისრება.

9. 7-მეტრიანი ხელახლა უნდა შესრულდეს, თუ მეკარემ მზღუდავი, 4-მეტრა შტრიხი (1.7, 5.11) მანამ გადაკვეთა, სანამ ბურთი მტყორცნელის ხელის მტევანს მოწყდებოდა, და გოლი არ გასულა. თუმცა, მეკარეს ამისთვის პირადი სასჯელი არ დაეკისრება

10. თუ მტყორცნელი მზადაა, წესით განსაზღვრულ ადგილზე დგას და ბურთიც უჭირავს, მეკარის შეცვლა ადარ შეიძლება ამ დროს შეცვლის მცდელობაც კი უწესობად ჩაითვლება (8.7c, 16.1b და 16.3d).

15. ზოგადი დებულებები ტყორცნების შესასრულებლად
(ცენტრიდან ტყორცნა, გვერდითი ტყორცნა, მეკარის ტყორცნა, თავისუფალი ტყორცნა, 7 მეტრიანი ტყორცნა)

მტყორცნელი

1. მტყორცნელი ტყორცნის შესრულებამდე სათანადო წესში მითითებულ ადგილზე უნდა დადგეს და ბურთი (ხელში) ეჭიროს (15.6).

ტყორცნის (შესრულების) დროს, გამონაკლისია კარიდან შემოტანა (12.2), სანამ ბურთი ხელის მტევანს არ მოწყდება (10.3b), მტყორცნელი იატაკს მუდმივად უნდა ეხებოდეს (მინიმუმ) ცალი ტერფით, მაგრამ შეუძლია მრავალ-ჯერ აწიოს და დადგას მეორე (7.6).

მტყორცნელი ამ ადგილზე უნდა დარჩეს "ტყორცნის შესრულების" ბოლომდე (15.7, #2, #3).

შენიშვნა: სროლის განხორციელებამდე (გარდა მეკარის სროლის შემთხვევისა), მსროლელი უნდა იყოს სწორ მდგომარეობაში, ანუ სხეულის სხვა ნაწილები, გარდა ფეხებისა, არ უნდა იყოს კონტაქტში იატაკთან.

2. ტყორცნა "შესრულებულია", თუ ბურთი მტყორცნელის ხელის მტევანს მოწყდა (თუმცა იხილეთ, 12.2, 10.3a, #2 და 10.3b).

მტყორცნელი ბურთს (მეორედ) ადარ უნდა შეეხოს მანამ, სანამ ბურთი სხვა მოთამაშეს ან კარს არ შეეხება (15.7 და 15.8); დამატებითი შეზღუდვა (14.6 -7მ).

გოლის პირდაპირ (უშუალოდ) გატანა შეიძლება ნებისმიერი ტყორცნიდან. გამონაკლისია "კარიდან შემოტანა" - ამისი შესრულებისას მეკარე ბურთს თავის კარში ვერ გაიტანს, რადგან თამაშში არ არის (12.1).

მტყორცნელის გუნდულები

3. მტყორცნელის გუნდულებიც სათანადო წესში მითითებულ ადგილზე უნდა დადგნენ (15.6). ეს მოთამაშეები ამ ადგილზე უნდა დარჩნენ მანამ, სანამ ბურთი მტყორცნელის ხელის მტევანს არ მოწყდება, გამონაკლისია (10.3a, #2, ასევე იხილეთ 10.3b (ცენტრიდან ტყორცნა)).

ტყორცნის შესრულების დროს გუნდელი ბურთს არ უნდა შეეხოს, და მას არც ბურთი გადაეხაროს (ხელიდან ხელში) (15.7, #2 - #3).

მეტოქე გუნდის მოთამაშეები

4. მეტოქე გუნდის მოთამაშეებიც სათანადო წესში მითითებულ ადგილზე უნდა დადგნენ და იქ დარჩნენ მანამ, სანამ ბურთი მტყორცნელის ხელის მტევანს არ მოწყდება (თუმცა იხილეთ, 10.3b, 12.2 და 15.9)

თუ ცენტრიდან ტყორცნის, გვერდიდან შემოტანის ან თავისუფალი ტყორცნის სწრაფად შესრულებისას მეტოქე სათანადო ადგილზე არ იდგა, მაგრამ ამით მტყორცნელის გუნდს არაფერი უზარალოა, მსაჯი არ უნდა ჩაერიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსაჯმა მეტოქის მოთამაშეებს "განლაგება უნდა შეუსწოროს".

სასტვენო თამაშის გასაახლებლად

5. მსაჯმა თამაშის გასაახლებლად უნდა დაუსტკინოს:

a) ყოველ "ცენტრიდან ტყორცნაზე" (10.3) და 7-მეტრიანზე (14.4);

b) გვერდითი ან მეკარის ტყორცნაზე, და თავისუფალზე:

- ტაიმ-აუტის შემდეგ თამაშის განსაახლებლად;
- 13.4 წესის თანახმად დანიშნულ თავისუფალ ტყორცნაზე;

- თუ ტყორცნის შესრულება გაჭიანურდა;
- მოთამაშეებისთვის "განლაგების შესწორების" შემდეგ;
- სიტყვიერი შენიშვნის ან გაფრთხილების შემდეგ.

თუ მსაჯს სიცხადისთვის საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია თამაშის გასაახლებლად სხვა შემთხვევაშიც დაუსტვინოს.

ჩვეულებრივ, მსაჯმა თამაშის გასაახლებლად არ უნდა დაუსტვინოს მანამ, სანამ მოთამაშეები 15.1, 15.3 და 15.4 წესების მიხედვით არ დადგებიან (გამონაკლისი 13.7, #2 და 15.4#2). თუ მოთამაშეები სათანადო ადგილებზე არ იდგნენ, მაგრამ მსაჯმა მაინც დაუსტვინა თამაშის გასაახლებლად, მაშინ ამ მოთამაშეებს თამაშში ჩარევა უმაღლეს დონეზე შეეძლება.

მტყორცნელმა ბურთი სასტვენთან 3 წამში უნდა ტყორცნოს

სასჯელები

6. თუ "ტყორცნის შესრულებამდე" წესი მტყორცნელმა ან მისმა გუნდელ(ებ)მა დაარღვიეს, არა-სათანადო ადგილზე დადგნენ ან ბურთს უსწოროდ შეეხნენ, მსაჯმა მათ "განლაგება უნდა შეუსწოროს" (13.7, #2).

7. "ტყორცნის შესრულების დროს" თუ რა მოყვება მტყორცნელის ან მისი გუნდელ(ებ)ის მიერ 15.1-3 წესთა დარღვევას, "პირველ რიგში" დამოკიდებულია იმაზე, შესრულებას წინ უძღოდა თუ არა "სასტვენი თამაშის გასაახლებლად".

ჩვეულებრივ, თუ მსაჯს შესრულებამდე არ დაუსტვინია, მოთამაშეებს "განლაგება უნდა შეუსწოროს", და სასტვენის შემდეგ ტყორცნა ხელახლა შეასრულებინოს. აქ მოქმედებს 13.2 წესის მსგავსი "უპირატესობის პრინციპი": თუ მტყორცნელის გუნდმა, უსწორო შესრულების შემდეგ, ბურთი უმაღლეს დონეზე დაკარგა, ტყორცნა შესრულებულად ითვლება და თამაში გრძელდება.

ჩვეულებრივ, თუ მსაჯმა შესრულებამდე დაუსტვინა, წესის დამრღვევიც უნდა დასაჯოს. მაგალითად, მტყორცნელი შესრულების დროს ახტა; ბურთი 3 წამზე მეტ ხანს ეკავა; სწორი სათანადო ადგილი დატოვა, ვიდრე ბურთი ხელის მტევანს მოწყდებოდა (გამონაკლისია 10.3a, #2). ამ დროს პირვანდელი ტყორცნა უქმდება და დარღვევის ადგილზე მეტოქეს ერგება თავისუფალი (13.1a), იმ ადგილიდან სადაც ბურთი იმყოფებოდა (თუმცა იხილეთ 2.6). აქვე მოქმედებს 13.2 წესის მსგავსი "უპირატესობის პრინციპი": თუ მტყორცნელის გუნდმა ბურთი მანამ დაკარგა, სანამ მსაჯი თამაშში ჩარევას მოასწრებდა - თამაში გრძელდება.

8. როგორ წესი, დასასჯელია "ტყორცნის შესრულების" მომდევნო, ოდონდ მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დარღვევაც. მაგალითად, 15.2, #2 წესის დარღვევით მტყორცნელი ბურთს (მეორედ) მანამ შეეხო, სანამ ბურთი სხვა მოთამაშეს ან კარს შეეხებოდა. ეს მოქმედება შეიძლება წააგავდეს (ბურთის) ტარებას, ან მოთამაშე ბურთს ხელახლა დაეუფლოს ჰაერში, ან იგი იატაკიდან აიღოს. ამ დროს თავისუფალი

ერგება მეტოქეს (13.1a, და 15.7, #3 წესის მსგავსად, სადაც უპირატესობის წესი მოქმედებს.

9. მოთამაშე დასასჯელია, თუ მეტოქეს ხელი შეუშალა ტყორცნის შესრულებაში, მაგალითად, თავიდანვე დადგა არასათანადო ადგილზე, ან იქ მერე გადავიდა = (თუმცა იხილეთ 14.8, 14.9, 15.4 #2 და 15.5 #3). ეს ეხება იმისდა მიუხედავად, ეს მოხდება ტყორცნის შესრულებამდე თუ შესრულების დროს (სანამ ბურთი არ დატოვებს მსროლელის ხელს).

აქ სულ ერთია, დარღვევა როდის მოხდა, შესრულებამდე თუ მის დროს, და ტყორცნასაც წინ უძღოდა თუ არა "სასტვენო თამაშის გასაახლებლად" (8.7c, 16.1b, 16.3d).

თუ მეტოქემ ტყორცნის შესრულებას ხელი შეუშალა, ტყორცნა, როგორც წესი, უნდა გამეორდეს.

16. სასჯელი

გაფრთხილება

1. გაფრთხილება უპრიანია

ა) დარღვევები, რომლებიც უნდა დაჯარიმდეს პროგრესულად (8.3, შეადარეთ 16.3b და 16.6d);

ბ) არასპორტული ქმედება, რომელიც უნდა დაჯარიმდეს პროგრესულად (8.7).

შენიშვნა: მოთამაშეს შეიძლება მიეცეს მაქსიმუმ ერთი გაფრთხილება, ხოლო ერთი და იმავე გუნდის მოთამაშეებს - (ჯამში) მაქსიმუმ სამი; ამის შემდეგ დამრღვევი "2-წუთიანი გაგდებათ" უნდა დაისაჯოს. მოთამაშეს, ვინც (მინიმუმ ერთხელ) უკვე გააგდეს 2 წუთით, გაფრთხილება ვეღარ მიეცემა. გუნდის წარმომადგენლებს ჯამში შეიძლება მიეცეთ მაქსიმუმ ერთი გაფრთხილება.

2. მსაჯმა გაფრთხილება ყვითელი ბარათის აწევით უნდა ანიშნოს დამრღვევ მოთამაშეს ან წარმომადგენელს, და ტაიმკიპერს ან მდივანს (ქესტი 13).

2-წუთიანი გაგდება

3. 2 წუთით გაძევება (გაგდება) უპრიანია:

a) უსწორო შეცვლისთვის, თუ ზედმეტი მოთამაშე მოედანზე შევიდა, ან თამაშში შეცვლის ზოლიდან ჩაერია (4.5-6) (თუმცა იხილეთ, 8.10b (II));

b) 8.3 წესის დარღვევისთვის - თუ მოთამაშეს ან მის გუნდს უკვე მიუღია გაფრთხილებათა მაქსიმუმი (16.1 შენიშვნა);

c) 8.4 წესის დარღვევისთვის;

d) 8.7 წესში ჩამოთვლილი უწესობისთვის - თუ მოთამაშეს ან მის გუნდს უკვე მიუღია გაფრთხილებათა მაქსიმუმი (16.1 შენიშვნა);

e) 8.7 წესში ჩამოთვლილი, წარმომადგენლის მიერ ჩადენილი უწესობისთვის, თუ ამავე გუნდის წარმომადგენელს უკვე მიუღია გაფრთხილება;

f) 8.8 წესში ჩამოთვლილი, მოთამაშის ან წარმომადგენლის მიერ ჩადენილი უწესობისთვის (4.6);

g) მოთამაშის ან წარმომადგენლის დისკვალიფიკაციის დანართად (16.8, #2 16.11b);

h) მოთამაშის მიერ თამაშის განახლებამდე ჩადენილი უწესობისთვის, თუ მასვე ეს-
ესაა მიესაჯა "2-წუთიანი გაგდება" (16.9a).

შენიშვნა: გუნდის წარმომადგენლებს ჯამში ვერ მიეცემათ ერთზე მეტი "2-წუთიანი".
თუ 16.3დ-ე წესთა თანახმად, 2-წუთიანი წარმომადგენელს მიეცა, მას შეუძლია
დარჩეს შეცვლის ზოლში და გუნდს მიხედოს. ამის გამო, გუნდმა მოედანზე 2 წუთით
უნდა მოიკლოს ერთი მოთამაშე.

4. ტაიმ-აუტის გამოცხადების შემდეგ მსაჯმა "2-წუთიანი გაგდება" ცხადად უნდა
ანიშნოს დამრღვევ მოთამაშეს ან წარმომადგენელს, და ტაიმკიპერს ან მდივანს -
ქესტი 14 (ხელის აწევა და ორი თითის გაშლა).

5. "2 წუთით გაძევება" სათამაშო დროის 2 წუთს გრძელდება. ერთი და იმავე
მოთამაშის მესამედ გაძევება დისკვალიფიკაციის ტოლფასია (16.6d).

გაძევებული მოთამაშე სასჯელის მოხდის დროს თამაშში ვერ მონაწილეობს, და
გუნდიც მის ნაცვლად მოედანზე ვერავის შეუშვებს.

სასჯელის დროის ათვლა იწყება თამაშის განახლების მანიშნებელ სასტვენზე.

თუ 2-წუთიანი გაგდება პირველ ტაიმში არ ამოწურულა, სასჯელის მოხდა მეორე
ტაიმში გრძელდება. იგივე წესი მოქმედებს სასჯელის გაგრძელებისას ძირითადი
დროიდან ოვერ-ტაიმში, და ამის ფარგალშიც. თუ 2-წუთიანი გაგდება ოვერ-ტაიმებში
არ ამოწურულა, გაძევებული მოთამაშე მონაწილეობას ვერ მიიღებს "7-მეტრიანებში"
(2.2 შენიშვნა).

დისკვალიფიკაცია

6. ბოლომდე გაძევება (დისკვალიფიკაცია) უპრიანია:

a) 8.5 და 8.6 წესების დარღვევისთვის;

b) მოთამაშის ან წარმომადგენლის მიერ, მოედანზე ან მის გარეთ ჩადენილი მეტის-
მეტი (8.9) და უკიდურესი (8.10) უწესობისთვის;

c) წარმომადგენლის მიერ 8.7 წესის დარღვევით ჩადენილი უწესობისთვის, თუ ამავე გუნდის წარმომადგენლებს ერთად უკვე მოუგროვებიათ გაფრთხილებაც (16.1b) და "2-წუთიანი გაგდება" (16.3e);

d) ერთი და იმავე მოთამაშის მესამე "2 წუთით გაძევების" დანართად (16.5);

e) "7-მეტრიანების" დროს ჩადენილი სერიოზული ან მრავალჯერადი უწესობისთვის (2.2 შენიშვნა და 16.10).

7. ტაიმ-აუტის გამოცხადების შემდეგ მსაჯებმა "ბოლომდე გაგდება" ცხადად, წითელი ბარათის აწევით უნდა ანიშნონ დამრღვევ მოთამაშეს ან წარმომადგენელს, და ტაიმკიპერს ან მდივანს (ქესტი 13, იხილეთ ასევე 16.8).

8. მოთამაშის ან წარმომადგენლის "ბოლომდე გაგდება" სათამაშო დროის ბოლომდე, მატჩის დასრულებამდე გრძელდება. გაძევებულმა მოედანი და შეცვლის ზოლი უმაღ უნდა დატოვოს. გაძევებულს გუნდთან ნებისმიერი სახის კონტაქტი ეკრძალება.

თამაშის დროს მოთამაშის ან წარმომადგენლის "ბოლომდე გაგდება", გინდ მოედნიდან და გინდ გარედან, თან ერთვის (ემატება) "2-წუთიანი გაგდება": მისმა გუნდმა მოედანზე 2 წუთით უნდა მოიკლოს ერთი მოთამაშე (16.3f). ეს სასჯელი გაორმაგდება ანუ 4 წუთად იქცევა, თუ მოთამაშე 16.9b-d წესში მოტანილ ვითარებაში გააძევეს.

ბოლომდე გაგდებით გუნდში "სახეზე მყოფ" (ოქმში შეტანილ) მოთამაშეთა ან წარმომადგენელთა რაოდენობა მცირდება (გამონაკლისი 16.11b). თუმცა, "წუთობრივი სასჯელის" ამოწურვის შემდეგ გუნდს შეუძლია მოედანზე მოთამაშეთა უწინდელი რაოდენობა აღიდგინოს და სხვა (გაუძევებელი) მოთამაშე შეუშვას.

"დისკვალიფიკაციას" 8.6 და 8.10 წესთა დარღვევის გამო მოყვება მოხსენებითი ბარათი, რათა ფედერაციას "სათანადო ზომების" მიღება შეეძლოს. ეს გუნდის უფროსსა და დელეგატს უმაღვე უნდა ენიშნოთ (განმარტება 7).

ამის სანიშნებლად გამოიყენება ლურჯი ბარათი, რომელსაც მოთამაშეს წითელი ბარათის შემდგომ აჩვენებენ.

ერთბაშად რამდენიმე დარღვევა

9. თუ მოთამაშემ ან წარმომადგენელმა ერთბაშად რამდენიმე დარღვევა ჩაიდინა, ან ვიდრე თამაში განახლდებოდა იგივე ერთი-მეორის მიყოლებით გააკეთა, და ამ დარღვევებისთვის უპრიანია (დადგენილია) სხვა-და-სხვა სასჯელი, მაშინ, როგორც წესი, დამრღვევს მხოლოდ უმკაცრესი სასჯელი უნდა მიეცეს.

თუმცა, ყველა ამ შემთხვევაში გუნდი კაც-ნაკლული 4 წუთით დარჩება:

a) თუ მოთამაშეს ეს-ესაა მიესაჯა "2-წუთიანი (გაგდება)" და მან თამაშის განახლებამდე უწესობა ჩაიდინა, მოთამაშეს დამატებით უნდა მიეცეს 2-წუთიანი (16.3g);

თუ ეს, დამატებითი 2-წუთიანი მისთვის მესამეა, მოთამაშეს "ბოლომდე" (წითლით) გააძევენ.

b) თუ მოთამაშე ეს-ესაა ბოლომდე (წითლით) გააგდეს – გინდ პირდაპირ და გინდაც მესამე 2-წუთიანის გამო და მან თამაშის განახლებამდე უწესობა ჩაიდინა, მის გუნდს დამატებით უნდა მიეცეს 2-წუთიანი და ამით კაც-ნაკლული 4 წუთით დარჩეს (16.8, #2).

c) თუ მოთამაშეს ეს-ესაა მიესაჯა 2-წუთიანი და მან თამაშის განახლებამდე მეტის-მეტი (8.9) ან უკიდურესი (8.10) უწესობა ჩაიდინა, მოთამაშე ბოლომდეც (წითლით) უნდა გააძევონ (16.6b) და ამით მისი გუნდი კაც-ნაკლული 4 წუთით დარჩეს (16.8, #2).

d) თუ მოთამაშე ეს-ესაა ბოლომდე (წითლით) გააგდეს, გინდ პირდაპირ და გინდაც მესამე 2-წუთიანის გამო და მან თამაშის განახლებამდე მეტის-მეტი (8.9) ან უკიდურესი (8.10) უწესობა ჩაიდინა, მის გუნდს დამატებით უნდა მიეცეს 2-წუთიანი და ამით კაც-ნაკლული 4 წუთით დარჩეს (16.8, #2).

თამაშის დროს ჩადენილი დარღვევა

10. თამაშის დროს მისაცემი სასჯელები მოტანილია 16.1, 16.3 და 16.6 წესებში.

ცნება "თამაშის დროს" მოიცავს ნებისმიერ შესვენებას, ტაიმ-აუტს, გუნდურ ტაიმ-აუტსა და ოვერ-ტაიმს. ფრეზე, "7-მეტრიანებში" მოქმედებს მხოლოდ 16.6 წესი.

ამ დროს ჩადენილი სერიოზული ან მრავალ-ჯერადი უწესობისთვის მოთამაშეს სერიაში შემდგომი მონაწილეობა აკრძალება (2.2 შენიშვნა).

სათამაშო დროის მიღმა ჩადენილი დარღვევა

11. მოთამაშის ან წარმომადგენლის მიერ დარბაზში, ოღონდ არა "თამაშის დროს" ჩადენილი ნებისმიერი უწესობის, მეტის-მეტი უწესობის, უკიდურესი უწესობისა და განსაკუთრებით თავზე-ხელაღებული მოქმედებისთვის (8.6-10) დადგენილია შემდეგი სასჯელები:

თამაშამდე

a) უწესობა (8.7-8), რომლის გამოც იძლევა გაფრთხილება;

b) 8.6 და 8.10a მოთამაშის ან წარმომადგენლის "დისკვალიფიკაცია", მაგრამ გუნდს ოქმში მაინც შეეძლება 16 მოთამაშისა და 4 წარმომადგენლის ჩაწერა;

16.8, #2 წესი მოქმედებს მხოლოდ "თამაშის დროს", რის გამოც ამ მუხლში მოტანილ დისკვალიფიკაციას აღარ მოყვება "2-წუთიანი".

თუ დადგინდა, რომ "თამაშამდე გაძევებული" თამაშში მაინც მონაწილეობს, სასჯელი მყის უნდა ამოქმედდეს.

თამაშის შემდეგ

c) მოხსენებითი ბარათი

17. მსაჯები

1. თითოეულ თამაშზე პასუხისმგებელი იქნება ორი თანაბარი უფლებამოსილების მქონე მსაჯი. მათ ეხმარება ტაიმკიპერი და მდივანი.
2. მსაჯები აკონტროლებენ მოთამაშეების და გუნდის ოფიციალური პირების ქცევას შენობაში შესვლის მომენტიდან გასვლამდე.
3. მსაჯებმა თამაშის დაწყებამდე უნდა შეამოწმონ მოედანი, კარები და ბურთები; მათვე თამაშისთვის უნდა შეარჩიონ ბურთები (1 და 3.1).

მსაჯები უნდა დარწმუნდნენ, რომ ფორმა ორივე გუნდს წესრიგში აქვს. ამისთვის მათ უნდა ნახონ თამაშის ოქმი და მოთამაშეთა სამოსი. მსაჯებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შეცვლის ზოლში მოთამაშეთა და წარმომადგენლების რაოდენობა წესის ფარგალში იყოს; მათვე უნდა მოიკითხონ, თუ ვინ იქნებიან ორივე გუნდის პასუხისმგებელი პირები; შეუსაბამობანი უნდა გასწორდეს (4.1-2 და 4.7-9).

4. წილის-ყრას (მონეტის აგდებით) ატარებს ერთ-ერთი მსაჯი, მეორისა და ორივე გუნდის პასუხისმგებელ პირებთან დასწრებით. ფროსის ნაცვლად წილის-ყრას შეიძლება დაესწროს გუნდის სხვა წარმომადგენელი ან სულაც მოთამაშე (მაგალითად, კაპიტანი).

5. ჩვეულებრივ, თამაშს თავიდან ბოლომდე მსაჯთა ერთი და იგივე წყვილი უნდა გაუძღვოს

მათ ევალებათ, თამაში წესების მიხედვით წარმართონ, ყოველი დარღვევისთვის დანიშნონ სასჯელი (თუმცა იხილეთ 13.2 და 14.2).

თუ ერთ-ერთი მსაჯი შეუძლოდ შეიქნა, თამაშს მეორე, მარტო გაუძღვება.

შენიშვნა: IHF-ს, კონტინენტალურ და ეროვნულ ფედერაციებს შეუძლია ჩაასწორონ 17.5#1,3 წესები.

6. თუ დარღვევის გამო ორივე მსაჯმა დაუსტვინა და ისინი ერთ აზრზე არიან, რომელი გუნდი დასაჯონ, მაგრამ სასჯელის სიმკაცრეზე ვერ თანხმდებიან, დაინიშნება სასჯელთაგან უმკაცრესი.

7. თუ დარღვევის გამო ორივე მსაჯმა დაუსტვინა, ან ბურთმა დატოვა მოედანი, მაგრამ მსაჯები ვერ თანხმდებიან, ბურთი რომელ გუნდს მისცენ, მათ უნდა მოითათბირონ და საზიარო გადაწყვეტილება მიიღონ. თუ ეს ვერ მოხერხდა, "მოედნის მსაჯის" აზრი გადაძალავს.

ამ დროს სავალდებულოა ტაიმ-აუტი. თათბირის შემდეგ მსაჯებმა ჟესტით უნდა გამოაცხადონ გადაწყვეტილება და თამაშის გასაახლებლად დაუსტვინონ (2.8d, 15.5).

8. ანგარიში ორივე მსაჯმა უნდა ითვალოს. მათვე უნდა ჩაინიშნონ გაფრთხილებანი და გაძევებანი (2 წუთით და ბოლომდეც).

9. სათამაშო დროც ორივე მსაჯმა უნდა დაინიშნოს (აღრიცხოს). თუ მათი საათების ჩვენება განსხვავდება, მსაჯებმა საზიარო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ (2.3).

შენიშვნა: IHF-ს, კონტინენტალურ და ეროვნულ ფედერაციებს შეუძლიათ 17.8 და 17.9 წესთა ჩასწორება.

10. მსაჯები არიან პასუხისმგებელნი თამაშის შემდეგ ოქმის სისწორეზე.

დისკვალიფიკაციაზე (წითელი ბარათი) მოხსენებითი ბარათი უნდა დაიწეროს (8.6 და 8.10).

11. მსაჯებისა და დელეგატის მიერ მომხდარის აღქმაზე და გააზრებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები საბოლოოა.

პროტესტი მიიღება მარტო ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც წესებს არ ეთანადება.

თამაშის დროს მსაჯებს შეიძლება მიმართოს მხოლოდ გუნდის პასუხისმგებელმა პირმა.

12. მსაჯებს შეუძლიათ თამაში დროებით ან სულ შეწყვიტონ. ვიდრე თამაშს სულ შეწყვეტდნენ, მსაჯებმა მის გასაგრძელებლად ყველაფერი უნდა იღონონ.

13. (ერთიანად) შავი ფორმა მსაჯებისთვისაა განკუთვნილი (გუნდი ასე არ უნდა შეიმოსოს).

17.14 მსაჯებსა და დელეგატს სასაუბროდ (საკომუნიკაციოდ) შეუძლიათ ელექტრო-აღჭურვილობის გამოყენება. ამის წესებს ფედერაცია ადგენს.

18. ტაიმკიპერი და მდივანი

1. ტაიმკიპერის ძირითადი საქმეა სათამაშო დროის, ტაიმ-აუტებისა და გაძევებულ მოთამაშეთა "დასასჯელი დროის" კონტროლი.

მდივანს აბარია გუნდის სიები, თამაშის ოქმი, მასში დაგვიანებულთა ჩამატება და იმათი აღრიცხვა, ვისაც მონაწილეობა ეკრძალება.

დანარჩენი მოვალეობანი, შეცვლის ზოლში მოთამაშეთა და წარმომადგენლების რაოდენობის კონტროლი, და მოთამაშეთა სწორად ცვლა (შესვლა - გამოსვლა) - საზიაროა.

როგორც წესი, თამაშის შეჩერება (შეწყვეტა) მხოლოდ ტაიმკიპერის და ფედერაციის (მიერ) დანიშნული დელეგატის საქმეა (იხილეთ პროცედურა - განმარტება 7).

2. თუ დარბაზის ტაბლოს არა აქვს საათი, ტაიმკიპერმა ორივე გუნდის უფროსს უნდა აცნობოს ხოლმე, თუ სათამაშო რამდენი რჩება, განსაკუთრებით, ტაიმ-აუტის შემდეგ.

თუ ტაბლოს არა აქვს ავტომატური სირენა, ტაიმკიპერმა ტაიმის დამთავრება სირენით ან დასტვენით უნდა აღნიშნოს (2.3).

თუ ტაბლო ვერ აღნიშნავს გაძევებულთა "დასასჯელ დროს", ტაიმკიპერმა მაგიდაზე უნდა დაიდგას ბარათი, რომელზეც ეწერება გაგდებულის ნომერი და სასჯელის ამოწურვის დრო.

ქესტები

გვერდიდან შემოტანის ან თავისუფალის დანიშვნისას მსაჯებმა უმაღლეს უნდა მიანიშნონ, თუ ტყორცნა საით სრულდება (ქესტები 7 და 9).

იქვე, თუ დასამატებელია პირადი სასჯელი, სავალდებულოა ქესტები (13 ან 14).

თუ მსაჯს მიაჩნია, რომ თავისუფალის ან 7-მეტრიანის დანიშვნის მიზეზთა ახსნა საქმეს არგებს, გამოიყენებს (1-6 და 11 ქესტებს). "მე-11 ქესტი" (პასიურობა) სავალდებულოა, თუ მსაჯს მანამდე არ გაუფრთხილებია გუნდი, ნუ პასიურობთო (ქესტი 17).

12, 15 და 16 ქესტების გამოყენება სავალდებულოა.

8, 10 და 17 ქესტები გამოიყენება მსაჯის შეხედულების მიხედვით.

ქესტების ჩამონათვალი

- 1 ზონაში შესვლა
- 2 უსწორო ტარება
- 3 გარბენი ან ბურთის დაყოვნება 3 წამზე მეტით
- 4 გაკავება, დაჭერა ან კვრა
- 5 ჩართყმა
- 6 დარღვევა შეტევაში
- 7 გვერდიდან შემოტანა - აი, იქეთ!
- 8 კარიდან შემოტანა
- 9 თავისუფალი ტყორცნა - აი, იქეთ!
- 10 დაშორდი 3 მეტრით!
- 11 პასიურობა
- 12 გოლი
- 13 გაფრთხილება - ყვითელი ბარათი; გაძევება - წითელი
- 14 2 წუთით გაგდება
- 15 ტაიმ-აუტი - გააჩერეთ საათი!
- 16 ტრავმაა: შემოვიდეს ორი კაცი!
- 17 გაფრთხილება: ნუ პასიურობთ!





10

დაშორდი 3 მეტრით!



11

პასიურობა



12

გთლი



13

გაფრთხილება, გაძევება



14

2 წუთით გაგდება



15

ტაიმ-აუტი



16

ტრავმა: შეშინებით!



17

60 პასიურობით!

II. წესების განმარტებანი

1. თავისუფალის ტყორცნა საფინანსო სასტვენის შემდგომ (2.4-6)

მეტ-წილად ეგრეა, რომ თუ დროის ამოწურვის შემდეგ გუნდს ერგო თავისუფალი ტყორცნა, მისი შესრულებით გოლის გატანა აღარ სურს ან მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილია, და ანაც ტყორცნის ადგილი მეტოქის კარიდან ერთობ შორსაა, წესების თანახმად, ასეთი თავისუფალიც უნდა შესრულდეს, მაგრამ მსაჯებსაც მართებთ ვითარების საღად შეფასება. მათ ტყორცნა შესრულებულად უნდა ჩათვალონ, თუ მოთამაშემ, ვინც თითქმის სწორ პოზიციაზე იდგა, ბურთი იატაკზე დააგდო ან მსაჯებს გადასცა.

იმ შემთხვევაში, როცა გუნდს გოლის გატანა ჭირდება, მსაჯებმა მას ეს მცირედი შანსიც უნდა მისცენ, მაგრამ ისიც უზრუნველყონ, რომ ეპიზოდი გაჭიანურებულ ამაოებად არ იქცეს. მსაჯებმა ორივე გუნდის მოთამაშეები ყოჩაღად და დროულად უნდა განაღდონ სწორ პოზიციაზე, რათა თავისუფალი ტყორცნა დაუყოვნებლივ შესრულდეს. აუცილებელია 2.5 წესში ჩამატებულ, იმ შეზღუდვათა დაცვა, რომლებიც ეხება მოთამაშეთა შეცვალასა და განლაგებას (4.5, 13.7).

მსაჯებმა უნდა იფრთხილონ და აღკვეთონ წესების დარღვევა ორივე გუნდის მიერ. დამცველი დასასჯელია სწორი პოზიციიდან თანდათანობით წინ წამოსვლისთვის (15.4, 15.9, 16.1b, 16.3d). შესრულების დროს შემტევიც ხშირად არღვევს წესს, ერთი ან რამდენიმე გუნდელი 9-მეტრა რკალს გადაკვეთს სასტვენის შემდეგ, ოღონდ ტყორცნამდე (13.7, #3) ან მტყორცნელი ტყორცნისას ახტება (15.1, 15.2, 15.3).

აქ არსებითია, რომ მსაჯებმა არ დაუშვან გოლის უწესოდ გატანა.

2. ტაიმ-აუტი (2.8)

2.8 წესში ჩამოთვლილ შემთხვევებში ტაიმ-აუტი სავალდებულოა, სხვა დროს კი მსაჯებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, შეაჩერონ თუ არა თამაში.

ქვემოთ მოტანილ შემთხვევებში ტაიმ-აუტი სავალდებულო არაა, მაგრამ როგორც წესი, ცხადდება ხოლმე:

a) გარეშე მიზეზები - მაგალითად, საჭიროა იატაკის მოწმენდა;

b) ეტყობა, რომ მოთამაშე დაშავდა;

c) გუნდს აშკარად გაჰყავს დრო - მაგალითად, აჭიანურებს სტანდარტული ტყორცნის შესრულებას; ან ბურთი მეტოქეს უნდა გადაეცეს, მაგრამ მოთამაშემ იგი მოისროლა ან არ იძლევა;

d) თუ ბურთი მოხვდა ქერს ან მოედნის თავზე აღმართულ ხიმინჯებს და ისე შორს გადავარდა, "რომ გვერდიდან შემოტანამდე" პაუზა გარდაუვალია (11.1);

e) მოედნის მოთამაშის მეკარით შეცვლა მეკარის ტყორცნის შესასრულებლად.

ამ დროს მსაჯებმა მხოლოდ მაშინ უნდა გამოაცხადონ ტაიმ-აუტი, როცა საათის გაუჩერებლობით რომელიმე გუნდი დაუმსახურებლად იზარალებს. მაგალითად, თუ თამაშის ბოლოსკენ გუნდი წინ ბევრითაა, მაშინ იატაკის მოსაწმენდად ტაიმ-აუტი საჭირო აღარაა. ან, თუ უ-ტაიმ-აუტობა გუნდს აზარალებს, მაგრამ დრო თავადვე გაჰყავს და თამაშს აფერხებს - მსაჯებმა ტაიმ-აუტი აღარ უნდა გამოაცხადონ.

ისიც გასათვალისწინებელია, თუ თამაში რა ხნით უნდა შეჩერდეს. ტრავმის დროს მსაჯებმა ეს ძნელად შეიძლება გამოიციონ, რის გამოც უმჯობესია ტაიმ-აუტის გამოცხადება და პირიქით, თუ ბურთი მოედნიდან გადავარდა, მსაჯებმა არ უნდა იჩქარონ, რადგან ბურთს უმეტეს-წილად მალევე აბრუნებენ. თუ ასე არაა, მსაჯებმა ტაიმ-აუტის გამოცხადების მაგივრად სწრაფადვე უნდა მოიკითხონ სათადარიგო ბურთი (3.4).

7-მეტრიანის დროს ძველი წესებით გათვალისწინებული სავალდებულო ტაიმ-აუტი გაუქმდა. და ზოგჯერ მაინც საჭირო ხდება ტაიმ-აუტის გამოცხადება ზემოთ მოტანილი სიტუაციების გამო: მაგალითად, თუ გუნდი 7-მეტრიანის შესრულებას ამკარად აჭიანურებს; იცვლება მეკარე ან მტყორცნელი.

3. გუნდური ტაიმ-აუტი (2.10)

ძირითად დროში, მაგრამ არა ოვერ-ტაიმში გუნდს ერგება (მაქსიმუმ) სამი, 1-წუთიანი "გუნდური ტაიმ-აუტი".

გუნდმა, იმ გუნდის ოფიციალურმა პირმა, რომელსაც სურს მოითხოვოს გუნდური ტაიმ-აუტი, უნდა დაადოს მწვანე ბარათი მაგიდაზე ტაიმკიპერის წინ. რეკომენდირებულია, რომ მწვანე ბარათის ზომა იყოს 15X20 სმ და ჰქონდეს „T“-ს აღმნიშვნელი წარწერა თითოეულ გვერდზე.

გუნდს შეუძლია მოითხოვოს თავისი გუნდის ტაიმ-აუტი მხოლოდ მაშინ, როდესაც ფლობს ბურთს (როდესაც ბურთი თამაშშია ან შეფერხების დროს). იმ პირობით, რომ გუნდი არ დაკარგავს ბურთის ფლობას მანამ, სანამ ტაიმკიპერი ჩაუსტვენს (ამ შემთხვევაში მწვანე ბარათი დაუბრუნდება გუნდს), გუნდს დაუყოვნებლივ მიეცემა გუნდური ტაიმ-აუტი.

ამის შემდეგ ტაიმკიპერი სასტვენით აჩერებს თამაშს და ტაბლოს (2:9). ის აძლევს ხელის სიგნალს ტაიმ-აუტისთვის (No. 15) და გაჭიმული ხელით მიუთითებს გუნდზე, რომელმაც მოითხოვა გუნდური ტაიმ-აუტი.

მწვანე ბარათი იდება მაგიდაზე, იმ გუნდის მხარეს, რომელმაც ის მოითხოვა და იქვე რჩება მის ამოწურვამდე (1 წთ).

მსაჯები ადასტურებენ გუნდის ტაიმ-აუტს, ხოლო ტაიმკიპერი იწყებს ცალკე საათს ათვლას, რომელიც აკონტროლებს გუნდის ტაიმ-აუტის ხანგრძლივობას. ტაიმკიპერს შეაქვს გუნდის ტაიმ-აუტის დრო ოქმში იმ გუნდისთვის, რომელმაც ეს მოითხოვა.

გუნდური ტაიმ-აუტის დროს მოთამაშეები და გუნდის ოფიციალური პირები რჩებიან თავიანთი ნახევარზე, მოედანზე ან შეცვლის ზონაში. მსაჯები მოედნის ცენტრში

რჩებიან, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი შეიძლება მოკლე დროში მივიღეს სამდივნო მაგიდასთან კონსულტაციისთვის.

მე-16 წესით დარღვევისთვის, გუნდური ტაიმ-აუტი განისაზღვრება, როგორც სათამაშო დროის ნაწილი (16:10), ამიტომ ნებისმიერი არასპორტული საქციელი და სხვა დარღვევა ისჯება ჩვეულებრივი წესით. ამ კონტექსტში არარელევანტურია, თუ მოთამაშე/ოფიციალური პირი არის მოედანზე ან მის ფარგლებს გარეთ. შესაბამისად, გაფრთხილება, გაძევება ან დისკვალიფიკაცია წესების 16:1-3 და 16:6-9 მიხედვით შეიძლება მიღებულ იქნეს არასპორტული ქცევისთვის (8:7-10) ან 8:6b წესის შესაბამისად.

50 წამის შემდეგ ტაიმკიპერი იძლევა სიგნალს, რომელიც მიუთითებს, რომ თამაში უნდა გაგრძელდეს 10 წამში.

გუნდები ვალდებული არიან, მზად იყვნენ თამაშის განახლებისთვის, როდესაც გუნდური ტაიმ-აუტი ამოიწურება. თამაში განახლება იმ ტყორცნით, რომელიც შეესაბამება იმ ვითარებას, რომელიც არსებობდა, როდესაც ტაიმ-აუტი იყო მინიჭებული, ან, თუ ბურთი თამაშში იყო, იმ გუნდისთვის, რომელმაც მოითხოვა იგი.

როდესაც მსაჯი ჩაუსტვენს, ტაიმკიპერი აგრძელებს დროის ათვლას.

გუნდს შეუძლია მოითხოვოს გუნდის ტაიმ-აუტი პირდაპირ ელექტრონულ მოწყობილობაზე დილაკის (ზუმერის) დაჭერით მწვანე ბარათების გამოყენების ნაცვლად. ზუმერი პირდაპირ არის დაკავშირებული ტაბლოს ოფიციალურ სისტემასთან. ზუმერზე დაჭერის შემდეგ, დრო პირდაპირ შეჩერდება. იმისათვის, რომ ყველა მხარემ იცოდეს გუნდის ტაიმ-აუტის შესახებ, ის ასევე მიითითებულია აუდიო სიგნალით. დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ ელექტრონული გუნდური ტაიმ-აუტის წესები.

შენიშვნა: თუ IHF, კონტინენტალური და ეროვნული ფედერაციები შეთანხმდებიან (2.10) გუნდს გამოეყოფა სამი, დანომრილი (1 2 3) "მწვანე ბარათი". ერთ ტაიმში შეიძლება მხოლოდ 2 ტაიმ-აუტის გამოყენება. გუნდის ორ გუნდურ ტაიმ-აუტს შორის, მეტოქე ერთხელ მაინც უნდა ფლობდეს ბურთს.

პირველ ტაიმში გუნდს ეძლევა "1" და "2" ბარათები, ხოლო მეორეში - "2" და "3", თუ პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი ტაიმ-აუტი აიღო, და მარტო "3" - თუ უკვე გამოიყენა ორი.

ძირითადი დროის ბოლო 5 წუთში თითოეულ გუნდს შეიძლება მიეცეს (მაქსიმუმ) თითო ტაიმ-აუტი.

4. პასიური თამაში (7.11-12)

A. ძირითადი განმარტებები

"პასიურობის წესის" დანიშნულებაა თამაშის უდიდეს ხერხებისა და განზრახვა გაქიანურების გამორიცხვა. საამისოდ მსაჯებმა მთელი თამაშის განმავლობაში ერთნაირად უნდა ამოიციონ და განსაჯონ "პასიური თამაში".

"პასიური თამაში" შეინიშნება შეტევის ნებისმიერ ბურთის წინგადაადგილების, მომზადებისა და დასრულების ფაზაში.

გუნდი "პასიურ თამაშს" მეტ-წილად მაშინ მიმართავს, როცა:

- თამაშის ბოლოს ცოტათია წინ (ცოტათი იგებს);
- კაც-ნაკლებია;
- მეტოქე ოსტატობით ჯობნის, განსაკუთრებით დაცვაში.

მომდევნო დებულებებში მოტანილი საზომები (კრიტერიუმები) მსაჯებმა ერთიანად და არა ცალ-ცალკე უნდა გამოიყენონ. მათვე უნდა გაითვალისწინონ წესების ფარგალში აქტიურად დაცვის შედეგიც.

B. პასიურობაზე მინიშნება

მსაჯებმა პასიურობის მიმანიშნებელი, "მე-17 ჟესტი" უნდა გამოიყენონ, როცა:

B1) შეცვლები ნელა კეთდება, ან გუნდს ბურთი ნელა მიაქვს წინ (მეტოქის კარისკენ)

ტიპიური გამოვლინებები:

- მოთამაშეები მოედნის შუა-წელში დგანან და შეცვლადა დასრულებას ელიან;
- გუნდი უკვე გაფრთხილებულია, მაგრამ მისი მოთამაშე მაინც აჯანჯლებს თამაშის გასაახლებელი ტყორცის შესრულებას: მაგალითად, თავისუფალ ტყორცნაზე თავს იკატუნებს, ვერ ვიცი, საიდან ვტყორცნო; ცენტრიდან ტყორცნაზე - მეკარე კარიდან ბურთის აღებას არ ჩქარობს; თავად ან მისი გუნდლები ბურთს ცენტრისკენ განგებ მოისვრიან უზუსტოდ, ან მოთამაშეები იქითკენ მისეირნობენ;
- მოთამაშე დგას და ბურთით დრიბლინგს აკეთებს;
- შემტევი გუნდი მეტოქეს წნეხის ქვეშ არ ჰყავს, მაგრამ ამისი მოთამაშე ბურთს მაინც უკან აწვდის - მეტოქის ნახევრიდან თავისაზე.

B2) მოსამზადებელ ფაზაში შეცვლა გვიან კეთდება

ტიპიური გამოვლინებები:

- ყველა მოთამაშე უკვე განლაგდა შესატევად;
- გუნდმა მოსამზადებელი პასები გააკეთა;
- მაგრამ მაქამდე მაინც არ გაუკეთებია ეგ შეცვლა.

შენიშვნა: თუ გუნდმა თავისი ნახევრიდან სწრაფი კონტრ-შეტევა წამოიწყო, მაგრამ მეტოქის ნახევარზე გადასვლის შემდეგ მყისი საგოლე შანსი ვეღარ მიიღო, შეტევის ამ ფაზაში მოთამაშეთა სწრაფად შეცვლა უნდა ედროვოს.

B3) მოსამზადებელი ფაზა მეტის-მეტად გაიწელა

ჩვეულებრივ, გუნდს უნდა ედროვოს მოსამზადებელი პასების შესრულება, ვიდრე გამიზნულად გადავა შეტევაზე.

გაჭიანურებული სამზადისის ტიპური გამოვლინებები:

- იერიშს არ მოყვება არა-ნაირი გამიზნული შეტევა

შენიშვნა: "გამიზნულ შეტევად" ითვლება ტაქტიკური მოქმედებანი, რომელთა შედეგად ბურთის მფლობელმა გუნდმა დაცვის მიმართ სივრცული უპირატესობა მოიპოვა, ანაც მოსამზადებელ ფაზასთან შედარებით ტემპს (თამაშის სიჩქარეს) მოუმატა.

- მოთამაშეები ბურთს დამდგარნი (უძრავად) ზედიზედ იღებენ, ან მიღებისას უკან იხევენ;
- დგანან და ბურთით დრიბლინგს აკეთებენ;
- მეტოქესთან შეხებისას შემტევი ნაადრევად ბრუნდება და ელის მსაჯის სასტვენს, და ვერც დამცველის მიმართ აღწევს სივრცულ უპირატესობას;
- აქტიური დაცვა შემტევს ტემპის მომატებას არ ანებებს, დამცველები ბლოკავენ ბურთისა და შემტევთა გადაადგილების გზებს;
- შემტევი - მოსამზადებელთან შედარებით ტემპს აშკარად ვერ ზრდის დასრულების ფაზაში.

C. პასიურობაზე მინიშნების ჟესტი

თუ მსაჯმა, გინდ "მოედანში მყოფმა" და გინდ "პირით ხაზზე მყოფმა" გუნდს პასიურობა შეატყო, ხელს აწევს (ჟესტი 17) იმის ნიშნად, რომ შემტევი კარში სატყორცნ პოზიციაზე გასვლას არ ცდილობს. ჟესტი მეორე მსაჯმაც უნდა გაიმეოროს.

"მე-17 ჟესტი" იმის მაუწყებელია, რომ ბურთის მფლობელი გუნდი საგოლე შანსის მიღებას არ ცდილობს, ან თამაშის განახლებას რეგულარულად აჯანჯლებს.

მსაჯებს ხელი აწეული უნდა ჰქონდეთ, ვიდრე:

- შეტევა დასრულდება;
- პასიურობაზე მინიშნებას აღარ იქნება ვალიდური (იხილეთ შენიშვნა).

შეტევა იწყება მაშინ, როცა გუნდი ბურთს დაეუფლა, და ითვლება დასრულებულად, როცა გუნდმა გოლი გაიტანა ან ბურთი დაკარგა.

"პასიურობაზე მინიშნება", როგორც წესი, ძალაშია შეტევის ბოლომდე. გამონაკლისი: ორ შემთხვევაში გუნდს ვეღარ დაბრალდება პასიურობა და ამდენად, მსაჯებმაც ხელი უნდა დაუშვან. ესენია:

1) შემტევმა გუნდმა კარში ტყორცნა და ბურთი მასვე დაუბრუნდა კარიდან ან მეკარიდან ასხლეტის შემდეგ, გინდ პირდაპირ და გინდაც გვერდიდან შემოსატანად;

2) დამცველი გუნდის მოთამაშემ ან წარმომადგენელმა 16 წესის თანახმად დარღვევის ან უწესობისთვის პირადი სასჯელი მიიღო.

ამ დროს ბურთიან გუნდს შეუძლია, მოსამზადებელი ფაზა ხელ-ახლა დაიწყოს.

D. პასიურობის მინიშნების შემდეგ

ხელის აწევის შემდეგ მსაჯებმა ბურთიან გუნდს შეტევის ყაიდის შეცვლა უნდა აღმოვონ. აქ გასათვალისწინებელია მოთამაშეთა ასაკი და ოსტატობის დონეც.

ასე და ამგვარად, შენიშვნა-მიცემულ გუნდს ეძლევა კარზე მიმართული შეტევის შანსი.

თუ ამ გუნდმა აშკარად მაინც არაფერი მოიმოქმედა კარში სატყორცნად (D1 და D2), მსაჯი გადაწყვეტს, რომ იგი (მართლაც) პასიურობს (7.11-12) და ამ დროს დარტყმა უნდა შესრულდეს 4 პასამდე.

ჩამოთვლილთაგან არც ერთი მიიჩნევა პასად:

- თუ პასის მცდელობა ვერ კონტროლდება დაცვითი მოთამაშის მიერ უხეში დარღვევის გამო.
- თუ პასის მცდელობისას დამცველისგან გადავა ბურთი გვერდით ან პირით ხაზს გარეთ.
- ტყორცნის მცდელობა, რომელიც დაიბლოკება მოწინააღმდეგის მიერ.

გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები პასიური თამაშის სიგნალის ჩვენების შემდეგ:

D1) შემტევი გუნდი

- ტემპს ვერ ან არ უმატებს;
- კარისკენ ვერ ან არ უტევს;
- პირისპირ (ერთი-ერთზე) თამაშისას სივრცულ უპირატესობას ვერ აღწევს;
- დრიბლინგის დროს ფერხდება - მაგალითად, დამცველმა გადაკეტა პასის მისაცემი გზები.

D2) დამცველი გუნდი

- აქტიურად, წესების ფარგალში, არ ანებებს შემტევს ტემპის გაზრდას და გამიზნულ შეტევას;
- მსაჯმა პასიურობაზე არ უნდა დაუსტვინოს, თუ აგრესიული დაცვა შეტევას დარღვევებით ზედიზედ აფერხებს (8.3) და დასასჯელია პროგრესულად.

D3) პასების მაქსიმალური რაოდენობა

D3a. 4-ე პასის შესრულებამდე:

- თუ მსაჯები გადაწყვეტენ საჯარიმო ტყორცნას ან გვერდითა ტყორცნას თავდამსხმელი გუნდის სასარგებლოდ, როდესაც პასიური სიგნალია ნაჩვენები, ეს არ წყვეტს პასების დათვლას.
- ანალოგიურად, თუ პასი ან დარტყმა კარისკენ დაბლოკილია დამცველი გუნდის მოთამაშის მიერ და ბურთი მიდის შემტევ გუნდში (თუნდაც მეკარის ტყორცნისას), ეს არ წყვეტს პასების დათვლას.

D3b. 4-ე პასის შესრულების შემდგომ:

- თუ საჯარიმო, გვერდითი ტყორცნა (ან მეკარის ტყორცნა) მიენიჭა შემტევ გუნდს მე-4 გადაცემის შემდეგ, გუნდს აქვს შესაძლებლობა გააკეთოს ერთი დამატებითი პასი შეტევის დასასრულებლად.
- იგივე ხდება იმ შემთხვევაში, თუ მე-4 გადაცემის შემდეგ შესრულებული სროლა დაბლოკილია მცველი გუნდის მიერ და ბურთი გადავიდა გვერდითა ხაზის ან კარის გარე ხაზის იქით. ამ შემთხვევაში, შემტევ გუნდს აქვს შესაძლებლობა დაასრულოს შეტევა ერთი დამატებითი პასით.

E. დანართი

ტემპის დაგდების გამოხატულებები

- სვლა გვერდით და არა წინ ან კარისკენ;
- გახშირებული დიაგონალური სვლა დამცველთა წინ, ოდონდაც ყოველგვარი წნეხის გარეშე;
- არანაირი სვლა წინ, არც პირისპირ (ერთი-ერთზე) გასვლა და არც ბურთის მიწოდება ზონის საზღვარსა და 9-მეტრა რკალს შორის მყოფი მოთამაშისთვის;
- ორი მოთამაშის მრავალ-ჯერადი პასები სიჩქარის მოუმატებლად და კარისკენ სვლის გარეშე;
- პასებში ყველა პოზიციის კუთხის, ხაზის და უკანა მოთამაშეთა ჩაბმა, ოდონდ სიჩქარის მოუმატებლად, ან კარზე მიმართული მოქმედების გარეშე.

პირისპირ თამაშის გამოხატულებები, რომელსაც არ|ვერ მოყვება სივრცული უპირატესობა

- ერთი-ერთზე თამაშისას იმ დროს, როცა ცხადია, რომ გარღვევისთვის ადგილი ვერ კმარა, შემტევს რამდენიმე დამცველი ბლოკავს;
- ერთი-ერთზე თამაში, როცა შემტევი მიზნად არ ისახავს კარისკენ გასვლას;

- ერთი-ერთზე თამაში, რომცა თავისუფალის მოპოვების მიზნითდა ხაფანგში გაბმა, ან ერთ-ერთზე თამაშის შეწყვეტა მაშინ, როცა გარდვევის შანსი არსებობს.

წესების ფარგლებში აქტიურად დაცვის გამოხატულებები

- დაურღვევლად თავდაცვა, რათა თამაში არ შეჩერდეს;
- შესატევი გზების გადაკეტვა ორი დამცველის მეშვეობით;
- წინ ამოსვლა პასის მისაცემი გზების გადასაკეტად;
- დამცველთა წინ ამოსვლა, რათა შემტევებს უკან (მეტად) დაახვეინონ;
- შემტევთა იძულება, ბურთი უკან, უფრო უხიფათო ადგილზე რომ მიაწოდონ.

5. ცენტრიდან ტყორცნა

ცენტრიდან ტყორცნის შესრულება

ამ წესის გამოყენებაში ამოსავალი ისაა, რომ მსაჯებმა გუნდს ხელი უნდა შეუწყონ "ცენტრიდან ტყორცნის" სწრაფად შესრულებაში. საამისოდ მსაჯები გუნდს არ უნდა ჩააცივდნენ და არ ეძებონ საბაბი სწრაფად შესრულებული "ცენტრიდან ტყორცნის" გასამეორებლად, და არც მტყორცნელის გუნდისთვის სასჯელის დასაკისრებლად.

მაგალითად, მსაჯებმა ანგარიშის შეცვლისას (გოლი) უცებ უნდა გადაამოწმონ მოთამაშეთა განლაგება. "მოედანში მყოფი მსაჯი" მზად უნდა იყოს დასასტვენად, როგორც კი ცენტრიდან მტყორცნელი სათანადო ადგილს მიაღწევს, თუკი სხვებიც ამ დროს ისე მცდარად არ დგანან, რომ აუცილებელია "განლაგების შესწორება". მსაჯებს უნდა ახსოვდეთ, რომ მტყორცნელის გუნდელებს ცენტრის ხაზის გადაკვეთა სასტვენის-თანავე შეუძლიათ, და ეს დებულება გამონაკლისია სხვა სტანდარტულებისგან.

ცენტრიდან ტყორცნის შესრულების ზონა

აღსანიშნავია, რომ მტყორცნელს ცენტრიდან განზე, მეტრ-ნახევრით (1.5მ) გასვლა შეუძლია და მსაჯები რაღაც სანტიმეტრებს არ უნდა გამოეკიდონ: მთავარია, მეტოქე არ დაიჩაგროს "ცენტრიდან ტყორცნის" უადგილო ან უდროო შესრულების გამო.

მეტიც, მოედნების უმეტესობაზე "ცენტრი" არცაა მონიშნული წერტილად, ხოლო ბევრგან ცენტრის ხაზს შუაში რეკლამა ახატია. ასეთ მოედანზე მტყორცნელი და მსაჯიც მიახლოებით თუდა დაიცავენ სიზუსტეს, რის გამოც მსაჯისგან ჩაციება მიუღებელია.

6. ნაღდი საგოლე შანსი (14.1)

საგოლე შანსი "ნაღდი" მაშინაა, როცა

a. ბურთიანი მოთამაშე მეტოქის ზონის საზღვარზეა, წონა-სწორობას იცავს და შეუძლია კარში ტყორცნოს ისე, რომ დამცველი წესების დაცვით ვერანაირად ვეღარ შეუშლის ხელს.

აქ შედის სიტუაცია, როცა მოთამაშეს ბურთი ჯერ არ მიუღია, მაგრამ ამისთვის მზადაა, ახლოს კი არაა მეტოქე, ვისაც წესების დაცვით ბურთის მიღებისთვის ხელის შეშლა შეუძლია.

b. ბურთიანი მოთამაშე კონტრ-შეტევაზე მარტო მირბის მეკარისკენ და წონა-სწორობასაც იცავს, დამცველები კი წინ ვერ დაუხვდებიან და ვეღარც (წესების დაცვით) შეაჩერებენ.

აქ შედის სიტუაცია, როცა მოთამაშეს ბურთი ჯერ არ მიუღია, მაგრამ ამისთვის მზადაა, მეტოქის მეკარე კი ეჯახება, რათა ბურთი არ მიაღებინოს. ამ შემთხვევაში დამცველთა განლაგებას მნიშვნელობა არა აქვს (8.5 შენიშვნა).

c. მეკარემ ზონა დატოვა, ბურთიანი მეტოქე კი წონა-სწორობას იცავს და შეუძლია შეუფერხებლად ტყორცნოს ცარიელ კარში.

7. ტაიმკიპერის ან დელეგატის ჩარევა (18.1)

თუ ტაიმკიპერი ან დელეგატი შეჩერებულ თამაშში ჩაერივნენ, მაშინ თამაში შეჩერების მიზეზის შესაბამისი ტყორცნით განახლდება.

მაგრამ თუ მათი ჩარევა და თამაშის შეჩერება მოხდა მაშინ, როცა ბურთი ჯერაც "თამაშში იყო" ამოქმედდება შემდეგი დებულებები:

A. მოთამაშის უსწორო შეცვლა ან მოედანზე "ზედმეტის" შესვლა (4.2-3, 5-6)

ტაიმკიპერმა ან დელეგატმა და მსაჯებმა "უპირატესობის პრინციპი" (13.2 და

14.2) უნდა დაივიწყონ. თამაშის შეჩერების მომენტში, თუ წესი დამცველმა გუნდმა დაარღვია და ამით შემტევს ნაღდი საგოლე შანსი გაუბათილდა 14.1a წესის თანახმად, ინიშნება 7-მეტრიანი, სხვა შემთხვევებში კი თავისუფალი ტყორცნა.

დამრღვევი მოთამაშე 16.3a წესის თანახმად ისჯება. მაგრამ 4.6 წესის მიხედვით (ზედმეტის შესვლა) თუ ნაღდი საგოლე შანსი დაირღვა, სასჯელი 16.6b და 8.10b მუხლებით ღგინდება.

B. ჩარევა სხვა მიზეზთა გამო, მაგალითად, უწესობა შეცვლის ზონაში

1. ტაიმკიპერის ჩარევა

ტაიმკიპერი თამაშის შეჩერებას უნდა დაელოდოს და მსაჯებს მიზეზი მერე აცნობოს.

მაგრამ თუ თამაში მაინც შეაჩერა, თამაშს თავისუფალით განაახლებს ის გუნდი, რომელიც შეჩერების დროს ბურთს ფლობდა.

თუ შეჩერების მიზეზი დამცველი გუნდის მიერ ჩადენილი დარღვევაა და ამით შემტევს ნაღდი საგოლე შანსი გაუბათილდა, 14.1b წესის თანახმად, ინიშნება 7-მეტრიანი.

(იგივე იქნება იმ შემთხვევაში, თუ ტაიმკიპერი შეწყვეტს თამაშს გუნდური ტაიმ-აუტის მოთხოვნის გამო, ხოლო მსაჯები უარს ამბობენ გუნდურ ტაიმ-აუტზე, რადგან არასწორია. თუ გოლის გატანის აშკარა შანსი განადგურებულია თამაშის შეწყვეტის გამო, მაშინ 7 მეტრიანი ტყორცნა უნდა დაინიშნოს).

ტაიმკიპერი დამრღვევ მოთამაშეს ან გუნდის პასუხისმგებელ პირს თავად ვერაფერს მიუსჯის. იგივე ეხებათ მსაჯებს, თუ დარღვევა თავად არ შეუნიშნავთ. ამ დროს ისინი არა-ფორმალურად თუდა მისცემენ შენიშვნას დამრღვევს, მაგრამ თუ დაირღვა 8.6 ან 8.10 მუხლი, მათ მოხსენებითი ბარათი უნდა დაწერონ.

2. დელეგატის ჩარევა

ფედერაციიდან თამაშზე მივლენილ დელეგატს შეუძლია მსაჯებს უკარნახოს გადაწყვეტილება მსაჯთა მიერ მომხდარის აღქმაზე დაფუძნებული განაჩენის გამოკლებით ან აცნობოს "შეცვლის ზონაში" წესების დარღვევა.

დელეგატს შეუძლია თამაში უმაღლეს შეაჩეროს. ამის შემდეგ თამაშს თავისუფალით ის გუნდი განაახლებს, ვისაც არ ჩაუდენია დარღვევა, რომელსაც დელეგატის ჩარევა მოყვა.

თუ შეჩერების მიზეზი დამცველი გუნდის მიერ ჩადენილი დარღვევაა, და ამით შემტევს ნაღდი საგოლე შანსი გაუბათილდა, 14.1a წესის თანახმად ინიშნება 7-მეტრიანი.

მსაჯები ვალდებული არიან დამრღვევს დააკისრონ დელეგატის მიერ მითითებული სასჯელი.

8.6 ან 8.10 მუხლის დარღვევაზე კი მოხსენებითი ბარათი უნდა შეადგინონ.

8. დამავებული მოთამაშე (4.11)

თუ მოედანზე მოთამაშე ტრავმირებულია, შემდეგი ზომები უნდა იქნას მიღებული:

a. თუ მსაჯები აბსოლუტურად დარწმუნებულები არიან, რომ დამავებულ მოთამაშეს მოედანზე მკურნალობა ესაჭიროება, მაშინვე უჩვენებენ ხელის სიგნალს No. 15 და 16. ამრიგად, მოთამაშემ მკურნალობის მიღების შემდეგ უნდა შეასრულოს წესი 4:11-ის მე-2 პუნქტი.

ყველა სხვა შემთხვევაში, მსაჯები სთხოვენ მოთამაშეს მოედნიდან გასვლას სამკურნალოდ. თუ ეს შეუძლებელია დაინტერესებული მოთამაშისთვის, მსაჯები აჩვენებენ ხელის სიგნალებს (No. 15 და 16), ხოლო იმოქმედებს წესი 4:11, მე-2 პუნქტი.

ამ წესების დარღვევა დაისჯება არასპორტული ქცევის გამო.

თუ მოთამაშე, რომელსაც უნდა დაეტოვებინა მოედანი სამი შეტევის დროს, ისჯება 2 წუთიანი გაძევებით, მას უფლება ეძლევა ხელახლა შევიდეს მოედანზე ამ გაძევების დასრულების შემდეგ, განურჩევლად შეტევების რაოდენობისა.

თუ გუნდის ოფიციალური პირები უარს იტყვიან მოთამაშის აუცილებელ მკურნალობაზე, „გუნდის პასუხისმგებელი პირი“ პროგრესულად უნდა დაჯარიმდეს (იხ. წესი 4:2, მე-3 პუნქტი).

